

617  
1967



ნათესა

№ 5 მაისი 1967



# ოქტომბრის სიძვონია

## გალაქციონ ვაზიკა

- ოქტომბერი — გენიის უმეფრესი ძნარია,  
ოქტომბერი — იმხნითვე ჩვენი მეგობარია,  
ოქტომბერი — საფოგლო არის ნათელ ლეჰსების,  
ოქტომბერი — წინვლაა კვეხნის ერთ მეჰქვედის,  
ოქტომბერი — სარკაა დღეთა ახალ შუასხვის,  
ოქტომბერი — საგმირო დღეებისაენ გვეჰახის,  
ოქტომბერი — დროისა და სივრცეთა მღვთია,  
ოქტომბერი — ცხოვრების საზღვრების გამწვავია,  
ოქტომბერი — მოჰმეა, მხნე და გაგზანიანი,  
ოქტომბერი — ახალი არის აღამიანი,  
ოქტომბერი — ღერბია წელთა მრავალთ  
მწკრივრების,  
ოქტომბერი — დროჰაა მეგრამოლ კაცობრიობის,  
ოქტომბერი — გრღეღია, შრომა და თავდაღება,  
ოქტომბერი — ველია, მჰით რომ ათჰკეთჰღება,  
ოქტომბერი — მრავალთა სასოვრით ნაჰარდი,  
ოქტომბერი — ერების მხნელი ვარ-მუჰარადი,  
ოქტომბერი — ჟოფნაა, მჰურ კავრირჰი  
წრთობრილი,  
ოქტომბერი — მიჰანი არის კეთილწობრილი,  
ოქტომბერი — მოსული ამ მჰვენიერ მიჰნისგან,  
ოქტომბერი — გრწუნივალე გჰაა კოჰუნიჰისკან



# ქ ვ ი რ უ ე ს ი ს ა ბ ა ნ ქ უ რ ი

საოცარი ქალაქია მოსკოვი. შეიძლება შეხანიშნავად იცნობდნენ მის ისტორიულ ძეგლებს, მის პროსპექტებსა და მოედნებს, იცოდნენ მისი გმირული წარსულიც, აწმყოც, და მიუხედავად ამისა, როდესაც ხელახლად მოხვდები ჩვენი დიდი სამშობლოს დედაქალაქში, მაინც აუცილებლად ნახავ რაიმე ახალსა და საინტერესოს.

ამ წერილში მე მინდა მოვუთხრო მკითხველს ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმზე, იმ მრავალრიცხოვან დოკუმენტებსა და მასალებზე, რომლებიც ცოცხლად ადავგენენ თვალწინ საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, პროლეტარიატის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაუცხრომელ ცხოვრებასა და საქმიანობას.

მუზეუმში ყველაზე ადრე შევხვდი დირექტორის მოადგილეს, ისტორიულ მემკვიდრეებთან კანდიდატს ი. ალექსანდროვს.

— ჩვენი ქვეყანაში, — მოგვითხრობს იგი, — ისტორიული ძეგლები და დოკუმენტები, რომლებიც ლენინის ცხოვრებასთან არის დაკავშირებული, ყველაზე წმინდა რელიქვიებად ითვლება. მათი უმრავლესობა თავმოყრილია ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში, რომელიც მოსკოვში შეიქმნა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით.

მუზეუმი გაიხსნა 1928 წლის 15 მაისს, სწორედ შარშან ჩვენ ვიზეიმეთ მისი დაარსების ოცდაათი წლისთავი. აქ ინახება ვ. ი. ლენინის პირადი ნივთები, მისი ხელნაწერები, წერილები, დოკუმენტები, მისი წიგნების პირველი გამოცემები, ის გარკვეული და უურნალები, რომლებშიც პირველად გამოქვეყნდა მისი სტატიები.

მუზეუმის ოცდასამ დარბაზში ექსპონირებულია 10 ათასამდე ძვირფასი დოკუმენტი, რომლებიც ლენინის იდეურ-თეორიულ მემკვიდრეობას ასახავენ, გვიჩვენებენ მშრომელი ხალხის დიდი ბელადისა და მასწავლებლის ცხოვრების გზას, მის ბრძოლას ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის შესაქმნელად.

მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზში დამთავალიერებელთა ურადლებას იპყრობს ვლადიმერ ილიას ძის მოწაფეობის დროინდელი წიგნები და წარჩინებული სწავლისათვის მიღებული ქილოები. აქვეა ვ. ი. ლენინის დახასიათება, გაცემული გიმნაზიის დირექტორის მიერ. მომდევნო ექსპონატები მოგვითხრობენ იმაზე, თუ რა დიდი სიყვარულით და გულმოდგინებით სწავლობდა ლენინი მარქსისა და ენგელსის შრომებს, რუსი რევოლუციონერ-დემოკრატებისა და მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეების ნაწარმოებებს.

ამ მუზეუმში გაციანის ძველი ბოლშევიკი ივანე მიხეილის ძე კოვალიოვი, რომელიც შეილიშვილთან ერთად მოსულიყო. იგი 1920 წლიდან პარტი-

ის წევრია, კარგად იცის ჩვენი ქვეყნის რევოლუციური წარსული, ვ. ი. ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა. დღეს კი აქ შეილიშვილი მოუყვანია, რათა გააცნოს მას ყველაზე სასახლო ფურცლები ჩვენი რევოლუციის ისტორიისა.

მნახველს ურადლებას იპყრობს სტენდი, სადაც ექსპონირებულია გაზეთ „ისკრის“ პირველი ნომერი. ეს გაზეთი არაღეგაღურად გამოდიოდა საზღვარგარეთ — ლაიპციგში, მიუნხენში და უენევაში. ინტერესით ათვალიერებენ მნახველები გაზეთ „პრავდის“ პირველ ნომერს; ამ გაზეთის დაბადების დღე მიჩნეულია მთელი ჩვენი პარტიის დიდ დღეებად. „პრავდას“ რევოლუციამდე სასტიკად ხდევინდნენ, ამიტომ მას ხშირად უხდებოდა სათაურის შეცვლა. გაზეთის ნომრები, ყველა ამ სათაურებით, ექსპონირებულია მუზეუმში.

დიდ ინტერესს იწვევენ ხელნაწერები ლენინის შრომებისა, რომლებიც იძლევიან ისტორიული პროცესების დრმა მარქსისტულ ანალიზს, აუალიბებენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის და ხალხთა შორის მეგობრობის პრინციპებს. აქვეა მრავალი დოკუმენტი, რომლებიც დაკავშირებულია ლენინის ცნობილ წიგნთან „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“.

განვავრძობთ ექსკურსიას მუზეუმში. დრმა შთაბეჭდილებას ახდენენ აქ წარმოდგენილი ლენინური დეკრეტები: მიწის შესახებ, ზავის შესახებ, რუსეთის ხალხთა თანასწორუფლებიანობის დეკლარაცია და ბევრი სხვა, რომელთაც არასოდეს დაივიწყებს ისტორია. ყველაფერი ეს ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ლენინის მოღვაწეობაზე, მთელს მის ტიტანურ ცხოვრებაზე. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მუზეუმში ინახება ვ. ი. ლენინის, მისი მშობლებისა და ახლობლების უნიკალური ფოტოები, ხელოვნების ძვირფასი ნიმუშები, რომლებიც ლენინის ცხოვრებას ასახავენ — სურათები, ქანდაკებები, ნახატები, საბჭოთა სახვითი ხელოვნების გამოჩენილი ოსტატების საუკეთესო ნამუშევრები. ჩვენმა გამოჩენილმა ფერმწერებმა და მოქანდაკეებმა არ დაიშურეს თავიანთი ძალ-ღონე, რათა ეჩვენებინათ ლენინი, როგორც ოქტომბრის ბელადი, როგორც მოაზროვნე, როგორც დიდი მოქალაქე და ადამიანი. აქვე წარმოდგენილია სტამბის მაკეტი, სადაც იბეჭდებოდა არაღეგაღური პარტიული ლიტერატურა. შემდეგ, იმ ბინების მაკეტებშიც, სადაც ცხოვრება და მუშაობა უხდებოდა ლენინს; განსაკუთრებულ ურადლებას იპყრობს მემანქანე არტურ ბლუმკვისტის ბინის მაკეტი. ცნობილია, რომ ბელსინკში ამ ბინაში ვ. ი. ლენინი ცხოვრობდა 1917 წლის სექტემბრის პირველ ნახევარში. სწორედ აქ დაასრულა მან თავისი კლასიკური ნაშრომი „სახელმწიფო და რევოლუცია“.

მნახველები ჩერდებიან მინის ქვეშ გამოფენილ კედლის ნატეხების წინ.

— ეს ქვები, — მოგვითხრობს ალექსანდროვი, — ლონდონიდან გამოგვიგზავნეს; როგორც ცნობილია, ლენინი 1902-1903 წლებში ცხოვრობდა ლონდონში, ჰოლდოფსკვერზე, სახლი № 80. მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელმა მფრინავებმა დაბომბეს ეს სახლი, ინგლისელებმა ნანგრევებიდან აშოიდეს რამდენიმე ნატეხი იმ ბინის კედლებისა, სადაც ლენინი ცხოვრობდა, და საჩუქრად გამოგვიგზავნეს. მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზში ინახება ფასდაუდებელი რელიქვია — მა-

რიზის კომუნარების დროშა, რომელიც 1924 წელს გადმოგვცეს ფრანგმა კომუნისტებმა.

1967 წელი — საიუბილეო თარიღია. საბჭოთა ქვეყანას ორმოცდაათი წელი უსრულდება, ხოლო 1970 წელს პროგრესული კაცობრიობა იზეიმებს დიდი ლენინის დაბადების ასი წლისთავს.

როგორ ემზადება მუზეუმი ამ ღირსშესანიშნავი თარიღებისათვის?

— ჩვენ ძლიერ დიდი მუშაობის შესრულება გვიხდება. სისტემატურად ვაწყობთ ლექციებს პარტიის ისტორიაზე, ოქტომბრის რევოლუციის მსოფლიო მნიშვნელობაზე, ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ლექტორთა ჯგუფში 84 კაცია, მათ შორის არიან ადამიანები, რომლებიც პირადად იცნობდნენ ლენინს, იბრძოდნენ ოქტომბრისათვის, მუშაობდნენ პირველი ხუთწლიის გრანდიოზულ მშენებლობებზე.

გასულ წელს მუზეუმი დაათვალიერა მილიონ 800 ათასამდე კაცმა, მათ შორის რამდენიმე ათასმა უცხოელმა სტუმარმა და ტურისტმა.

შალვა სპანი

ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში ყოველდღიურად აუარებელი მნახველები მოდიან მსოფლიოს ყველა კუთხიდან.




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კვარტი

№ 5 (366) მ ა ი ს ი, 1967 წ.

გამოცემის წელი 45-ე.

ყოველთვიანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურული-სამხატვრო ჟურნალი





# კანონი უწყობი

## გიორგი იაშვილი



ლადო იაშვილი.

მისი ნაწერების მცირე ნაწილი ლასინის ფსევდონამით დაიბეჭდა „კავლის“, „ქველინის“ და „მწვემის“ ფურცლებზე. მისი მეორე ლიტერატურული ფსევდონიმი ვახლათი შავნიჭა. ამ ფსევდონიმით 1901 წელს ლენინურ-ისკრული გამართულების გაზეთ „ბრძოლის“ პირველ ნომერში მან გამოაქვეყნა მუშათა კლასის საპირველმართო პოლიტიკური გამოსვლებისადმი მიძღვნილი ლექსი „ოცდაორ აპრილს“. ლადო იაშვილი ამ ისტორიული დემონსტრაციის უშუალო მონაწილე იყო; ამ ლექსში ავტორი ასე ახსიათებდა სამოსო დროშას:

დროშა ქვერ-ობლის, ოხერ-ტილის  
ნუგეშსაცემად მოვლინებული,  
დროშა მუშისა სისხლით და ოფლით  
შეზავებული, დამძიმებული...  
დროშა საერთოდ კაცობრიობის  
კეთილდღეობის მომნიჭებელი,  
იმ დღის, როდესაც ყველგან, ყრველთვის  
ინეტარყოფებს სული ყოველი.

ეს ლექსი კარგად არის ცნობილი ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში. საერთოდ თავის დროზე ლადო საკმაოდ პოპულარული პიროვნება იყო. ჩერ ისევ 1898 წელს შალვა დადიანმა, დაბა ყვირილაში ყოფნის დროს ლადო იაშვილს მიუძღვნა ლექსი, რომელიც აქვე მოგვყავს:

გხედავ, მიხარის, რომ გამჩნევ  
ორგვარსა ვეჯაკობასა,  
სახითაც მკული კვალს მისდევ  
თავის და ერის ცნობასა.  
ვაქვს წმინდა გული უზადო  
და შიგ ავლავ უცხო გრძობანი,  
გსურს ამ მოხდენილ სხეულსა  
სულსაც შევინოდეს წყობანი.  
სახით ძველ ქართველს მაგონებ  
მწყაზარსა განგებინასა,  
საქმით კი იმედს მინერავ,  
გხედავ ყრმას კეთილგზიანსა.  
გისურვებ „ყოფნას“ ბნელ მხარემ  
არ დავირდილოს ბროლ-გული,  
დახვდეს მას სინათლიანად  
აწ ორგვარ შეზავებულ.

რევოლუციის გამარჯვების შემდეგ პოეტი ალექსანდრე აბაშელი იხსენებდა პირველი მისიის პოეტს და ასეთ სტრიქონებს უძღვნიდა მას:

დღეს მე ვიგონებ პირველ მაისის  
პირველ მომღერალს — ლადო იაშვილს,  
ჩვენს დიდ ზეიმში მისი ხმა ისმის,  
როგორც ქუბილი ქარის გრაილში.  
წინამორბედმა ბრძოლის გალობამ  
ჩვენს ზეიმამდე ხომ მოაღწია,  
არ დაივიწყა ჩამომავლობამ,  
ის, ვინც პირველი დროშა ასწია.

შალვა გოწალიშვილი თავის წიგნში „ქართული რევოლუციური მხატვრული ლიტერატურის ისტორიისათვის“ აღნიშნავს, რომ „დაუდგარო, აფორიაქებული ცხოვრების მძიმე პირობების გამო (არალეგალური მუშაობა და ცხოვრება, მუდმივი დევნა, ციხე-გადასახლება) ლადოს ლიტერატურული კვალი წაიშალა, სამწუხაროდ, მისმა ნაწერებმა ჩვენამდე სრული სახით ვერ მოაღწია“ (გვ. 17). მართლაც, ლადოს ბევრი ნაწარმოები უკვალოდ დაიკარგა, განადგურდა, მაგრამ რაღაც სასწაულით მცირე ნაწილი მაინც გადარჩა და ამჟამად დაცულია მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივში. აქ საკმაოდ იდენობითაა თავმოყრილი მისი ორიგინალური ლექსები, მოთხრობები, წერილები, თარგმანები რუსულიდან, აკროსტიხები, ზემპირსტეკვაობის ნიმუშები, არაკები, ნაკვეთები და ბევრი სხვადასხვა სახის ჩანაწერი. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ლადომ ვერ მოასწრო თავის სიცოცხლეში გამოქვეყნებინა ისინი. ამ ლექსებიდან გვინდა დავასახელოთ დღემდე უცნობი „გამოთხოვება“, „ნატვრა“, „დღედას“, „როფრაფი“, „ნანა პროლეტარიატს“, „უცხო მხარეში“ (დაწერილია რუსულ ენაზე), „სიმღერა“, „ექსპრომიტი“, „ცხოვრების ტალღები“, „შობა თინდება“, „შემოდგომა“, „ალექსანდრე უაზბეგს“, „ბედს“, „ამხანაგი“, „გაზაფხული“, მოთხრობები — „ორი ბელურა“, „გაზაფხული“, „ხალხო, რას სჩადით, ნუ გვლუბავთ“, „მეუბნობები“; ამას გარდა აქვეა კნუტ შამსუნის „არჩევანის“, მაქსიმ გორკის, გიდე მოპასანის, კორეცკის და სხვათა მოთხრობების თარგმანები. მთლიანად ეს ნაწარმოებები გამსჭვალულია მგწნებარე რევოლუციური სულისკვეთებით, ხალხის გამარჯვების ურყევი რწმენით. ისინი მითვლებდნენ მისი ავტორის, კემზარიტი რევოლუციონერის შურეპრობაზე, რაინდულ ბუნებაზე, ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულსა და კეთილშობილურ მისწრაფებებზე.


კლადიმერ იოსების-ძე იაშვილი ეკუთვნის მებრძოლთა იმ დაუვიწყარ თაობას, რომელმაც ყველაფერი უღლებლად შესწირა რევოლუციის გამარჯვების დიდ საქმეს. ეს იყო მართლაც უშიშარი რაინდი, რომელმაც ნათელი მომავლისათვის ბრძოლას ანაცვალა ოჯახური ბედნიერებაც, სახლკარიც, სიცოცხლეც. ჩვენი ქვეყნის ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლას ხანგრძლივად ვგრცხვით ისტორია აქვს; გასული საუკუნის მიწურულში იწყებოდა ამ ბრძოლის ახალი ეტაპი. ლადოც სწორედ ამ დროს გამოდის სამოღვაწეო ასპარეზზე. 1898 წელს ის უკვე რსდმპ პარტიის წევრია, 1908 წელს არხანგელსკის გუბერნიაში გადასახლებული. სამშობლოში დაბრუნებისთანავე ის კვლავ მებრძოლთა რიგებში დგება, რაზეც ადამიანებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საიერიშოდ. ის ხელახლა შეიბჰრეს და 1909 წელს სამუდამო კატორღა მიუსაჯეს. იგი მოხვდა ირკუტსკის გუბერნიის სოფელ უსტუდაში; ლადო აქაც თავგანწირულად ებრძოდა მეფის ჯალათებს, ვიდრე ბლექმა არ დაფრფულა ამ ბოზოქარი ადამიანის მღვდლვარე გული.

ქალაქ მოსკოვის ბულვანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე ამხანაგმა ლეონიდ ილიას-ძე ბრედენემა თქვა: „ამხანაგებო! ჩვენ მტკიცე ნაბიჯით მივდივართ იმ მიზნისაკენ, რომელსაც სიცოცხლე შესწირეს რევოლუციონერთა თაობებმა. თანამედროვეთაგან ყველას როდი მოუხდა ებრძოლა ბარიკადებზე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ“. ასე სათუთად ინახავს ლენინის პარტია და გამარჯვებული საბჭოთა ხალხი იმათ ნათელ ხსოვნას, ვინც რევოლუციის გარეთრუიდან დაწყებული ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე გმირულად დაიცნენ უთანასწორო ბრძოლებში, რათა ხალხისათვის ნათელი მომავალი დაემკვიდრებინათ.

\*\*\*

ლადო იაშვილის რევოლუციურ და ლიტერატურულ მოღვაწეობაზე ჩვენს პრესაში რამდენიმე წერილი დაიბეჭდა, მაგრამ მისი სრული ბიოგრაფია ჩერ კიდევ არა გვაქვს. მასზე ალბათ მომავალში უფრო ვრცლად, სრულყოფილად დაიწერება იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც გამოქვეყნებულია ჩვენს პრესაში და დაცულია მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში, მის პირად არქივში. ჩვენ უპირატესად გვინტერესებს მისი ლიტერატურული საქმიანობა; მისი წლებიდან მოკიდებული, უკანასკნელ დღეებამდე ლადოს ხელიდან არ დაუგდია კალამი. წერდა ლექსებს, მოთხრობებს, დღიურებს, პროკლამაციებს, შესანიშნავად თარგმნიდა რუსულიდან, აგროვებდა ხალხურ ზემპირსტეკვაობის ნიმუშებს, ზღაპრებს, ანდაზებს და აქვეყნებდა იმდროინდელ პრესაში.

პოეტ. არგვეთი. ამ სახლში 1872 წელს დაიბადა ცნობილი რევოლუციონერი ლადო იაშვილი. 1894 წელს — პოეტი პოპოლო იაშვილი. სახლი 1906 წელს დაწვეს ალხიზანოვ-ავარსკის კაზაკებმა.



# მზრინავიც გუთნისდედაა

ბაქრო ხონალმა დინჯად აიხედა ცისკენ, შირაქის თავზე თვითმფრინავი გამოჩნდა, სულ უფრო და უფრო მკვეთრად იხმოდა მისი ზუზუნი. მანქანამ ჰაერში წრე შემოხაზა, თეთრი შევარდნის ფრთები შეატორტმანა და მწვეანზე მოფუსფუსე კოლმეურნეებს პილოტმა ზემოდან ხელით ანიშნა — განზე გადავით, უნდა დავეშვაო.

პროპელერი უკანასკნელად შემოტრიალდა და მოტორიც ჩაჩუმდა. კაბინიდან გადმოსულ მფრინავს კველაზე ადრე შაქრო ხორნაული გაეგება. მფრინავმა, ხელი ჩამოართვა თუ არა, მაშინვე ჰკითხა:

— ბრიგადირო, დღეს ხომ არ გამაცდენ?

— ეგ რა სათქმელია! — უპასუხა შაქრომ, — გახედვ მიწას! გზაფხული ჩვენ არ დავციდის, — მერე მე მომიბრუნდა და მითხრა, — შარშან ცუდი შემოდგომა იყო. წვეთი არ ჩამოვარდნილა ციდან, მერე, ათას ოთხას ჰექტარს სუპერფოსფატი რომ მივაშველეთ, ჯეჯილმა ისეთი ღონიერი მუხლი გაიკეთა, თვალს ვერ მოსწყვეტდი.

ბრიგადირი ისევ მფრინავს მიუბრუნდა:

— შენ ახლა ერთი შენებულად აზოტი და მიბობმე ეს მინდორი და დანარჩენი ჩვენზე იყოს.

— ფიქრი ნუ გაქვს, ოღონდ გამარჯ ბიჭები მომაშველე, თვითმფრინავს ჩატვირთავთ, მერე, არ დაგავიწყდეს, კარგი სადილის თადარიგი დაიჭირე... მეტი ნურაფრის ფიქრი ნუ გექნება.

მფრინავი მანქანის ბორტზე შედგა და ფუზელაჟის უკან ბუნჯერის თავსახურავი ახადა, კოლმეურნეებმა კიბე მიადგეს, დაიწყეს სასუქის ფხვნილის ჩატვირთვა, ათიოდე წუთში მორჩნენ საქმეს. თვითმფრინავი გაქანდა წინ, მოსწყდა მიწას და ჰაერში აიწია. დიდ მწვეან მინდორს უგანა და სამიწზე ალაპის დანახვაზე ოცი-ოცდაათი მეტრის სიმაღლეზე დაეშვა, მფრინავმა საფრქვევი მიღების სადენები გახსნა და თვითმფრინავს გაჰყვა სასუქის მუქ-ლურჯი-ღრუბლის ბოლქვები.

შეცქეროდი თვითმფრინავს, შირაქის ცაზე რომ ბოინობდა და უნებურად ვფიქრობდი — ეს მფრინავიც გუთნისდედაა, მხენელ-მთესველია, მოსავლის ოსტატი.

რატომაც არა. სტატისტიკოსებს გამოანგარიშებულ აქვთ, რომ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ჩვენი სამოქალაქო ავიაციის გამარჯ მფრინავების ღვაწლის შედეგად სახელმწიფო ყოველწლიურად დამატებით ღებულობს მრავალ მილიონ ფუტ პურსა და ძვირფას ტექნიკურ კულტურებს.

შორიასლოს, შავ ხოდაბუნებზე ტრაქტორები გუგუნებენ; საგზაფხულო კულტურებისათვის მომზადებულ მძრალეზე ქვემოქედლები მზესუმზირასა და შვრისას სთესვენ.

მინდორში სულ მალე კოლმეურნეობის თავმჯდომარე იოსებ ჯგუთაშვილი გამოჩნდა, ის მაშინვე მექანიზატორებსავე გაეშურა, შეამოწმა იმათი ნამუშევარი და უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა:

— დღეს ძალზე ბევრი მძრალი ავთომობილი!

— მერე და მაგას რა სჯობია, — გაეკამათა მექანიზატორი.

— როგორ თუ რა სჯობია! ამის დათესვას ოთხ დღეში ვერ მოვასწრებთ, ნოტიო ამინდია. ხვალ სარეველა წამოჰყოფს თავს და მოახრჩობს ახალ ნათესს. რამდენჯერ უნდა გითხრათ — იმდენი აოშეთ, რამდენსაც დასთესავთ. თორემ თუ სარეველას დრო მიეცი და თანაც პირობებიც შეუქმენი...

აღარ დაამთავრა. ისეც გასაგები იყო ყველაფერი.

— მაშ ახლა თვისის ტემპი უნდა ავანჯაროთ, აბა თქვენ იცით. საღამოსთვის ისევ ჩამოვალ.

თავმჯდომარე ფერმებისაკენ მიეშურებოდა, მეც თან გავყვევი. მანქანამ გეზი ალაზნის ველისაკენ აიღო.

უკვე გამოჩნდა ქვემოქედლების ფერმების შე-

## მეცხვარემ ღალატი არ იცის

ნობები. მეცხვარეობის ბრიგადირს ნიკო ბობაშვილს დავუწყეთ ძებნა; მინდორში ვიპოვეთ. თავისი სამწყსო გაეშალა.

— ნიკო, პირობაზე როგორ ხარ? — ჰკითხა თავმჯდომარემ.

— პირობა როგორი იყო? — კითხვა შეუბრუნა სარქალმა.

— გეგმით 722 ბატკანი უნდა გამოგვეზარდა.

— ჰოდა, ჩვენ კიდე 760 გავზარდეთ.

— ავაშენა ღმერთმა!

— ხომ ვითხარი, მეცხვარემ ღალატი არ იცის-მეთქი. შეხედე, როგორ გალაღებული არიან ქორეები. ახლა ერთი რამე ჩავიფიქრე და არ ვიცი რას მეტყვი!

— თქვი, თუ საქმეს არაფერი ეხნება.

— ხომ ხედავ, ბატკნები თოხლებივით არიან. კარგი მატყლი აქვთ. საიალად მგზავრობა გაუკირდებათ, დასცხვებით გზაში.

— აქვე უბირებ გაპარვას? — მიუხვდა თავმჯდომარე.

— ჰო, აგრე აჯობებს. ხუთას კილომდე მატყლს ზედმეტად მივიღებთ და ბატკანსაც შორი გზა გაუადვილებდა.

— სიფრთხილეა სჯობი, ნიკო! მთაში სიციფემ რომ დაჰკრას და დაიღუპოს ბატკანი?

— გზაში თოხმეტ დღეს დავრჩებით, ერთი იმდენიც აქვე ვიტრიალებთ, ამასობაში ბატკანს საკმაო მატყლი ამოუვა, სიციფე ვეღარ შეაშინებს.

— კარგი, თანახმა ვარ, ოღონდ ყველაფერი ისე გააკეთე, საქმე არ წაეახდინო!

კვლავ გავყვევი ხავერდოვან ველს. გზადაგზა გვხვდება ძროხის ნახირი, ღორის კოლტი თუ ფრინველთა გუნდები, ქვიტყირის გრძელი კაბიტალური შენობები. იოსები მომავლის გეგმებზე მესაუბრება:

— ნიკოსი არ იყოს, მეც ერთი კარგი საქმე მაქვს გადაწყვეტილი. ალაზნისპირა ფერმებთან ბევრი არტეზიული ჰა გავჭირით. მშენიერი გოგორდოვანი წყლები ამოდის, ზოგს სამკურნალო მნიშვნელობა აქვს. მინდა აქ ავაშენო აბანო.

ჩქარა მივალწიეთ მელიორაციის ფერმის პირველი ბრიგადის სადგომებთან. ლამაზ ხეხილნარში ჩაფლული თეთრი ქვიტყირის შენობები უფრო კურორტს მოგაგონებთ, ვიდრე საღორეს.

აქვეა ორბინიანი საცხოვრებელი სახლი ფერმაში მომუშავეთათვის. მეღორე ქალიშვილები რადიომიმღებს უსხდნენ. ისინი აქ სიმწიფის ატესტატით მოვიდნენ და საკოლმეურნეო შრომაში ჩაებნენ. განზრახული აქვთ უმაღლესი განათლება წარმოებინებინან მოუწყვეტლავ მიიღონ.

საქმესაც კარგად უძღვებიან და მისაღები გამოცდების ჩასაბარებლადაც გულმოდგინედ ემზადდებიან. ზოგი ექიმობაზე ოცნებობს, ზოგს მასწავლებლობა აინტერესებს, ზოგს კი ზოოტექნიკოსის პროფესია იტაცებს. ყოველი ქალიშვილი 21 ნეზეს უელის და იმედოვნებს, რომ ყოველ მათგანს 14 გოგონა გამოაზრდებიან, თუმცა გეგმით 12 გოგონა გათვალისწინებული. ასე თავდადებულად შრომობენ გულო ყორიული, სონა ბაინდურაშვილი და მათი მეგობრები.

## რახელ ყოფილიყო, შიშიავ, კახეთი?

ვაე-ფშაველას ერთი ასეთი ამბავი ჩაუწერია. ოდესღაც თურმე ხევსური შიშია ყურძნობას კახეთს ჩამოვიდა სამუშაოდ. კარგად დაუხვდნენ კახელები. სულ გამტკიცულ შოთის პურს აკმევენენ. ქურტენი მანამდე არ ენახა შიშიას; მტევანი რომ მიაწოდეს, გემო გაუსინჯა და მაშინვე გადალო გვერდზე.

— ფუ, რა ყოფილა ეს ყურძენი, ყაღვიანი პირი გამიფუტო!

ორი კვირის შემდეგ შინ დაბრუნდა შიშია. გარს შემოეხვიენენ მეზობლები.

— რახელ ყოფილიყო, შიშიავ, კახეთი? — ჰკითხა ერთმა ხევსურმა.

— ვერაიას ყოფილიყო, გუდანი ჯვარის გამარჯვებამა, — მოღგო შიშიამ, — ყურძენ-მარძენამა ყალივნის გემო ქვე დამილივა, პურ მაილიდიან, ვლექიდი, ვლექიდი, ვერ გავლექიდი, თავი დავანებდი, მავკვე მშეირაი. ჩვენი ჩხრეკილისთანა\* არა იქნების, თავისთავად ვალექებდითო.

გაცქერი ქვემოქედლების ზერებს და ხევსუ-



ქვემოქედელი ბერეკაციები — ივანე მახაური და ვანო ხაიაშვილი.

რი შიშია მაგონდება; მისი და მისი მეზობლების შვილიშვილები თუ შვილიშვილთა შვილები, ახალგაზრდა ფშაველი და ხევსური ქალ-ვაენი მავთულებზე ვაზის რქებს აკავებენ, მოხუცებს კი წალმის კონები გააქვთ ტახტისთავებში.

აქ არიან პირველი ფშაველი მევენახეები — ალექსი ყიფიაშვილი და თამარ ჩიტაური. თხუთმეტი წლის წინათ ამ ტრიალ მინდორზე მათ პირველად ჩაადგეს ვაზის ნერგი და დღემდე 418 ჰექტარზე გაჰიშეს ზერები.

ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატებს — ყიფიაშვილსა და ჩიტაურს შარშან თვითელი ჰექტარიდან ცამეტნახევარი ტონა ყურძენი გაუგზავნიათ საკოლმეურნეო მარანში. წელს უფრო მეტის იმედი აქვთ.

— წლეულს მოსავალი კარგი უნდა იყოს, — ამბობს ყიფიაშვილი, — ზამთარი თბილი იდგა, გაზაფხული კი, როცა ვაზში წვენმა მოძრაობა დაიწყო სუსხიანი იყო, კვირტი ადრე არ გამოიტყუა და ახლა ხომ ხედავთ როგორი ღონიერი კვირტი

\* ჩხრეკილა — ქერის პური.



ქვემოქედელი მევენახეები — ლევან ხუცურაული და ალექსი უიუიაშვილი.

გამოდის, ახლავ ეტყობა, რომ კარგ მტევანს დაისხავს. ჩვილი ბავშვივით ეუფლებოდა ამ ვაზებს და თუ სეტყვამ არ დაგვიზიანა, მგონი გავვიმართლებენ ამაგს.

### თუშ-ფშაველთა რწმუნებულის

ახლა თვითონ სოფელშიც შევიხედოთ. ქვემოქედი სოფელი კი არა, მშვენიერი ქალაქი-ბაღი გვეგონებათ. ლაღად გატყორცნილი ქუჩების ოროვე მხარეს ლამაზი ორსართულიანი ქვიტკორის შენობები ამკობენ, ბალ-ვენახებით და შწვანე ეზოებით, აქვეა სკოლების შენობები, მღალა-ზიებია...

რამდენი იწვალა და იტანჯა, იბრძოლა და იღვა ვეა-ფშაველამ, რათა ეს სამი სოფელი — ზემოქედი, არხილოს კალი და ქვემოქედი დაესახლებინა!

ვინ მოსთვლის რამდენი მოწინააღმდეგე ჰყავდა ვაჟს — მთავრობის მოხელეები, მდიდარი მეცხვარეები, იოლი გამორჩენის მოყვარულნი და ა. შ. ვაჟს მოპირდაპირენი ძალიან დიდგულად იყვნენ, კანონიც იმათ მხარეს იყო, ძალაც იმათ ჰქონდათ და ფულიც.

ლატაკი მთიულებისა და ფშაველების მხარეზე კი მართო ვაჟა იყო და კიდევ ქართული პრესა, რომელიც აქვეყნებდა დიდი პოეტის წერილებს ამ თემზე მთელი თვრამეტი წლის მანძილზე, 1896 წლიდან 1914 წლამდე.

ამ წერილებს ასეთი ხელმოწერა ჰქონდა: „თუშ-ფშაველთა რწმუნებულის ვაჟა-ფშაველა“.

რას ამტკიცებდა ვაჟა ამ წერილებში? იმას, რომ ქართველ კაცს უფლება აქვს დასახლდეს და იცხოვროს თავისივე ქვეყნის მიწა-წყალზე.

მეფის მთავრობა და ბოზოლა მეცხვარეები სწორედ ამ უფლებას ართმევდნენ ლატაკ თუშებს, მთიულებსა და ფშავლებს.

აქაური ბერძენები მიამბობენ:

— მდიდარმა მეცხვარეებმა გამოგვიცხადეს, შირაქში არ დაგინახოთო. მაჩურა ბაიაშვილი არ შეეპუა იმათ. ლამით ესროლეს და სასიკვდილოდ დასკრეს. სიკვდილის წინ მაჩურამ ანდერძი დატოვა — „ჩემი ცოლვა დაედოს იმას, ვინც მკვდარს აქედან მთავი დასამარხავად წამიღებსო“, მანამდე მიცვალებულები მთავი აგვქონდა, მე-

რე ის იყო ვაჟამ დაგვაროვა — აქ კაცს რომ დამარხავთ, მიწიდან ვეღარ აგურიანო. აბა ეკლესიის აგებმის თავი სადა გაქვთ, რამე პატარა ნიში მოაწყვეთ, ლაშარის ჭვრის მსგავსი და სისაფლაო აქ გაიჩინეთო. მაჩურასაც ეს ახსოვდა და ის ანდერძიც იმითმ დაიბარა. რუსისწყლის სათავეში დამარხებთ მაჩურა: შემოდგომამზე, მინდორში რომ გავედით სახნავად, მოგვიცვივდნენ და საუფერები ჩავვიტრეს, მერე ის იყო, დავითო შავერდამვილი მოგვიკლეს, ყანაში ესროლეს, შუადღისას, აღარ იყო საშველო, შეგატყობინეთ ვაჟს და ბაშინვე ჩამოვიდა.

— კარგად მახსოვს, ზაფხული იყო, — ჰყვება მეორე მოხუცი, — სამივე სოფლის მეცხვარეებმა მოიყარეს თავი, ბოზოლებსაც თავიანთი ხალხი გამოგზავნათ, მთავრობის კომისიაც იყო ჩამოსული, უნდოდათ აქტი შეედგინათ და აქედან გავეძევივინეთ. მეცხვარეებს თავიანთ „პოვერნიად“ (რწმუნებულო) სანდრო ცისკარიშვილი ჰყავდათ. ჩვენი „პოვერნი“ კი ვაჟა იყო. ხალხი ძალიან ღელავდა. ვაჟა განზე იჯდა და რაღაც ქალღუბებს სინჯავდა. მთავრობის კომისიის თავმჯდომარემ აქტი ხელში შეატრიალა და თქვა:

— აბა რა ვქნათ, ფშავლების „პოვერნი“ ალბათ რუსულად არ იცისო; მაშინ კი ვეღარ მოითმინა ვაჟამ, წამოხტა და დაიძახა: — როგორ, ვაჟამ არ იცის რუსული? მიჩვენე, რა გიწერია მაგ აქტშიო. გამოართვა ქაღალდი, წაიკითხა, მერე დაეცა, დახია და ნაფლეთები ქარს გაატანა. მდიდარი მეცხვარეების პოვერნიამ სანდრო ცისკარიშვილმა დაიძახა — სტრაჟნიცხო, გვიშველეთ, მოგვაშორეთ ეს ცოფიანო! ვაჟამ უპასუხა — ცისკარიშვილო, დაგვიწყდა რა ვითხარი — დუშეთში? ხალხს წინ ნუ უდგები, თორემ ინანებ-მეთქი. კომისიის თავმჯდომარე თბილისში ყოფილიყო. როცა გაიგო, ეს ვაჟა-ფშაველა არისო, აღარ იცოდა როგორ მოეხდა ბოდრი. მერე ვაჟამ გამოუცხადა ყრილობას — შირაქი ყველას ეყოფა და არავის არა აქვს უფლება ფშავლები აქედან აყაროსო. ყრილობა რომ გათავდა, ვაჟამ ცხენი მოითხოვა, შეგდა, წაგვიყვანა მინდორში და ჩვენი საზღვრები გვიჩვენა. ქვემოქედის გასადევარიც მაშინ დაწვდა ვაჟამ — სამხრეთით მილიონა თევა, აღმოსავლეთით სააკაძის ხე და დასავლეთით რუსისწყალის თავი; ამის მერე ჩვენი აყრველარავინ შეიძლო.

### დასაწყისი განთიადისა

ქვეყნის დასაწყისად ყველგან აღმოსავლეთს მიიჩნევენ.

შვის ყველაზე პირველი სხივები ქვემოქედელთა ფანჯრებს დაეცემა ხოლმე.

ყველაზე პირველი ტოროლა აქ აიჭრება ხოლმე ლაქვარდში.

მთელ საქართველოში ყველაზე ადრე აქ თენდება: ქვემოქედი პირველი სოფელია საქართველოსი აღმოსავლეთის მხრიდან.

და რაოდენ საგულისხმოა, რომ ქართულ მიწაზე ოქტომბრის ნათელი დროშა პირველად ამ სოფელში გაიშალა. იდგა 1921 წლის 18 თებერვლის ქარიანი დილა. ქვემოქედის ორღობებში ცხენოსნები გამოჩნდნენ. ისინი მეთვრამეტე არმიის მეთვრამეტე დივიზიის მეომრები იყვნენ, იმ დამით ალაზანი გადმოველეთ და აჯანყებული ქართველი მუშებისა და გლეხების დასახმარებლად მოეშურებოდნენ.

ქვემოქედელები გულღიად დაუხვდნენ წითელი არმიის ჯარისკაცებს.

სულ მალე თბილისის ცაზე აფრიალდა ლენინის დროშა.

გიორგი გოჩიაშვილი  
ქვემოქედი. აპრილი.

# საქართველოს მეცხვრეების

## ღებორკა პეარანლი

არის შენს ნაზ და გოროზ უღერაში  
რაღაც ისეთი, რომ არც მუსიკით  
და არც სიტყვებით გამოითქმება:  
საარემაა! საარემაა!  
ეგზომ ნაცნობი ხატება შენი  
მიმალულია დიდის ნისლეტში,  
მაგრამ ზემოდან მე მაინც ვხედავ  
იმ ზოლს, რომლითაც წყალს ემიჯნება.

\* საარემა — კუნძული ისტონეთში, სადაც ბავშვების წლები გაატარა პოეტმა ქალმა.

როც არც ზღვის მიწის გაუფურჩქნელი  
კოკორი, ზვირთებს მინებებულო,  
იმავე ზვირთებზე ქანაობ დაბლა  
და მლაშე ნამით ხარ გაუღენთილო.  
ღვით დაფარულ მინდვრებს და ვეღებს  
ხან ჩრდილი ადგათ, ხან კი ნათელი.  
გადახლართვია ბილიკს ბილიკი  
და ქაფი ზღვისა ეხლება კლდეებს.  
ქარები ვეღარ აფიხსე მკერდი  
მე ამ ქარების სუნით ბოლომდე,  
ყველაფერია მათში: მარილიც,  
კუმრის ნარევიც და... შირიშურიც  
ღამეულ ტყეთა და ზმანებათა.  
როგორც ვრიგალთა სულნი, ქარები  
ეჯახებოდნენ ბავშვობას ჩემსას  
და მიშფოთებდნენ ღამაშ ოცნებებს,  
და მიღვიძებდნენ ბუნდოვან სიკოვით,  
დაუმცხრალ წყურვილს ზეტიადისას,

კუნძულზე ახლაც მოჩანს უმარვილი,  
და სახაცილოდ მხრებაწურული  
მისჩერება ერთ წერტილს ისე,  
რომ ეკარგება მზერა დრუბლებში.  
იღუმალ ფიქრით შეშფოთებული  
უცებ მოსწყდება ზღურბლს და — ერიშა!  
ჯოჯო ჩაუჭროლებს, სივრცეს ჩაუვლის  
და შეჩერებს აწ ვერაფერი...  
საარემას თავზე მიფურინავ, —  
ვიპყრობ სამყაროს უსაზღვრო სივრცეს  
და გულით მიმაქვს სამშობლო მთელი  
ამ უსაყვარლეს კუნძულთან ერთად.  
თუნდაც რომ შევძლო გავსცილდე მიწას  
და შევეუბრთდე ვარსკვლავებს ცაში,  
ვერ მოვშორდები მშობლიურ კუნძულს,  
აქ საუკუნოდ მიდგას ფესვები.

ესტონურიდან თარგმნა  
სუბა გარულაშვილი

# ნიკოლაძე

## რუსულან ნიკოლაძე

რუსეთში ნამყოფ ჩემს მამიდებს თავიანთი საინტერესო აღზომები ჰქონდათ ქუთაისში, სულ სხვა, ვიდრე „უენეველებს“ და კიდევ უფრო განსხვავებული დედის და მამის პეტერბურგის აღზომისაგან, რომელთაც, იმდროინდელი უფროსის მიხედვით, „ოტრეტაგენი წაბისკი“ ერქვა. რუსეთში ნამყოფი მამიდების აღზომში მამიდა ფროსიკო (შემდგომში ალექსი ჰიჭინაძის მეუღლე) წარმოდგენილი იყო ვაჟურად, მოკლედ შეკრებილი თმით; სადა იყო მისი წინანდებური „კოშკი-ბური“ თმის ვარცხნილობა! ხელთუფლიშვილის მამიდები კი, მათი ძმებივით, თითქმის ტურგენევის „ნოვ“ისა და „მამებისა და შვილების“ პერსონაჟთა დასურათებს წარმოადგენდნენ თავიანთი ნიშლისტურ ყაიდაზე გაწყობილი ჩაცმულობით ოთხივეს მოჭარბული „კოსოვოროტკები“ ეცვათ, ვაჟებს მაღალყელიანი ჩექმები, ქალებს, ორივეს თმა-შეჭრილს, შავწონიანი პენსნეები ეკეთათ სრულიად ჯანსაღ თვალბეზე.

ადვილი წარმოსადგენია როგორი იქნებოდა აკაკის კომენტარები ამის ირგვლივ; აკაკი ვადაჭრით „არანიბილისტი“ ქალების მხარეზე იყო. ასევე ითქმის გიორგი წერეთელზეც. მას არა ერთხელ უთქვამს, რომ „გულქანზე“ ცენზურასთან წვადებამ გული გაუტეხა და ხელი შეუშალა, თორემ აპირებდა მთელი რომანი დაწერა ქალთა მოძრაობიდან, რომლის მოქმედება სამ ადგილზე იქნებოდა გაშლილი: ჩვენში, ნევის ნაპირებზე და ალბებში. ამასთან ერთად, გიორგი ხუმრობდა, რომ იმ რომანის ქართული ნაწილისათვის საქმარისი იქნებოდა მისი და ჩვენი ოჯახების ყოფა-ცხოვრების აღწერა, აქსაკოვის მიზაძით.

\*\*\*

ძალიან ცოცხლად მახსოვს გიორგი მისი სიცოცხლის უკანასკნელ ათწლეულში, ე. ი. დაახლოებით 1892 წლიდან, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის სულ 7-8 წლის ვიყავი.

გიორგი ბუნებით პედაგოგი იყო; პირადად მან, და არა მამაჩემმა გამიტაცა უკვე იმ ასაკში, დამაინტერესა ქართული უფროს-გაზეთების საქმით, თავისი დასის გაფორმებული ბრძოლით მეფის ცენზურასთან. სწორედ ასე წარმოთქვამდა იგი ამ სიტყვას. მან ხომ უამისოლად ტყუანით იცოდა ლაპარაკი, ცოტა კბილებშეკრულად; ასეთ ახალ სიტყვებს კი იგი სულაც დამარცვლით გვაწოდებდა ბავშვებს; უფრ-ნა-ლიზში, სა-ცენ-ზურ-ო კო-მი-ტე-ტი. Бойцы помнят минувшие дни и битвы, где вместе рубились они,

\* ამ მოგონების პირველი თავი დაიბეჭდა „დროის“ მე-9 ნომერში (1965 წ.).



უყვარდა მას მამაჩემივით წამოახება, როგორც კი სტუდენტობის დრო გაახსენდებოდა, ან, უფრო ხშირად, ცენზურასთან შეტაკებები თუ მგზნებარე „ბანკოზიდა“.

გიორგი არასოდეს გვიფიქვებდა ჩვენ, პატარებს. — ხომ იცი, — რამდენჯერმე მითხრა მან მე, რვა წლის „უკბილო ბებერს“, — შენ ოლიკოს მეგვიდ-რე ხარ ქართველ ქალთა საქმეში. აბა, შენ იცი, არ შეგვარცხვინო, და როკ ეს ამოდ თქმული არ იყო, ამის დასამტკიცებლად მან და დეიდა ტახომ (ანახტასია თუმანიშვილი) ჩემი სურათი დაბეჭდეს „ჩეკილის“ 1898 წლის საახალწლო ნომერში. მართალია, იმ სურათზე მე, ცხადია, დაუსახელებლევ ვიყავი მოთავსებული, როგორც „ბავშვი ყვავილებით“. მაგრამ ყოველივე ამან ისე იმოქმედა ჩემზე, რომ იმ დღიდან მე დედას სურვილიც კი შევასრულე და დღიურის წერა დავიწყე; რა თქმა უნდა, პირველ რიგში მასში ჩემთვის სასიხარულო ეს ამბავი შევიტანე.

აპრილში კი იმავე დღიურში შეტანილი მაქვს ბარათაშვილის თბილისში გადმოსვენების ამბავი.

დღემდე მახსოვს რა მითხრა გიორგი წერეთელმა, როცა „ჩეკილში“ ჩემი სურათი დაიბეჭდა: — რა კი შენმა სახემ საბეჭდი მანქანა ამუშავა სტამბაში, ახლა მთელი საქართველო გააცინოსო. ეს კი გავალებს, ნამდვილ ქალად გაიზარდო. რა საქმე უფრო გაინტერესებსო? — ზღაპრების წერა და ჭრა-კერვა-მეთქი, ვუბასუხე. აკაკი ამაზე სამ დღეს იხარხარებდა, გიორგიმ კი არც კი შეიმჩნია რაზე. — კაი გემოვნება ჯქონიაო, მიბასუხა, მაგრამ იცოდევ: როგორც ჭრა-კერვას, ისე წერასაც ცენა და სერიოზული მომზადება ესაქორება: აი თუნდაც მამაშენს ჰკითხე. ამიტომ ვირჩევ, დედას და უჭერე და ჭერ დღიურები წერე. შემდეგ კი... — მმ, გაოლიმა მან — შემდეგ კი ისევ შენს ზღაპრებს დაუბრუნდი. აბა ნახე, ჩვენი ელიკო (გიორგის ქალიშვილი) რა კარგად წერს „ჩეკილისათვის“. მშვენიერი ენა აქვს და კალამი. ჩვენს სახლში ყველა მწერალია, — გაიცინა მან — ეს „სენი“ გადამდები ყოფილა... (დღეაჩემისაგან მან იცოდა, რომ მეც სულ მწერლობაზე ვოცნებობდი ხუთი წლის ასაკიდან). ამ საუბარმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა. მაგრამ მწერლობა, მართლაც თამაში ხომ არ იყო, როგორც მე შეგონა ჩემი დედოფალებისათვის ტანსაცმლის ჭრა-კერვის და მათთვისვე „მოთხრობების“ წერის დროს. ამას ხომ ნიჭიც უნდოდა, წერის ცოდნაც. ჩვენს ოჯახში, თბილისსა და ქუთაისში, მართლაც, ყველა ქალი მასწავლებელი იყო, გიორგი წერეთლის სახლში კი ყოველი ქალი მწერალი ხდებოდა, დიდიც და პატარაც. სტუმარიც და მასპინძელიც: ეკატერინე გაბაშვილი და ტასო წერეთელი, კეკე მესხი და სონა ციციშვილი, თვით თხოუმეტი წლის ელიკოც კი, ჭერ კიდევ მოკლეკბიანი გიმნაზიეში.

ახლაც თვალწინ მიდგას „ჩეკილი“ მისი ეპიგრაფით:

იზარდი, მწვანე ჩეკილი,  
დაპურდი, გახდი ყანაო!

ვფურცლავ უფროსს, აი, ელიკოს ხელმოწერაც:  
ელ. წერეთელი.

რ. ნიკოლაძე სამი წლის ასაკში (1887 წ.): დაბეჭდილია „ჩეკილის“ 1893 წლის № 1-ში, როგორც „კვალის“ პირველ ნომერთან ერთ დღეს გამოვიდა.



ნ. ნიკოლაძის უმცროსი და ფროსიკო (ეფროსინე), ალექსი ჰიჭინაძის მეუღლე და ბესარიონ ჰიჭინაძის დედა (ნ. ნიკოლაძის მიერ გადაღებული 1896 წელს, სურამში).

აი მეორე ხელმოწერაც: რედაქტორ-გამომცემელი ანახტასია თუმანიშვილი-წერეთელი.

რამდენად სჯობდა ჩემს თვალში მასწავლებლობას მწერლობა, კალამი ადვილი წარმოსადგენია ჩემი აღტაცება, როდესაც ასეთი ნიდაგის შემზადების შემდეგ, 1898 წლის 1 იანვარს დაწყებული ჩემი დღიური გიორგიმ გადასინჯა, მომიწონა და დედაჩემს მიუბრუნდა ღიმილით: — დახეთ, ამ ქალბატონს, მგინა ამასაც მწერლობა დაუბრუნებიაო მე კი თავზე ხელი გადამისვა და მითხრა: — აბა, ვნახოთ, ვინ აქობებს, შენი დღიური თუ ჩემი „კვალის“...

ასეთი გულში ჩამწვდომი სიტყვებით ჩამიბეჭდა გიორგი წერეთელმა სიყვარული იმ საქმისადმი, რომელსაც თვითონ მსახურებოდა; 1898 წელს, „კვალის“ გამომცემის ხუთი წლის თავზე, მამიდებთან, ქალთა წრის შეკრებაზე ქუთაისში მან ილაპარაკა ამ უფროსის მნიშვნელობაზე. იმ დროს ელიკო უკვე მოზრდილთათვისაც წერდა ე. ი. თვით „კვალის“ თანამშრომელიც იყო, აგრეთვე, ჩვენი, როგორც უმცროსების სილამაზის იდეალიც! არა მარტო თანამშრომელი იყო ელიკო „კვალისა“, არამედ „რედაქტორთა რედაქტორიც“, როგორც გიორგი სიხარულით იტყოდა ხოლმე. მამის თხოვნით ელიკო მის რომანს „გვრიტია-გულქანს“ ამუშავებდა, სტამბაში გადასაცემად და მომდევნო წელს „კვალში“ გამოსაქვეყნებლად ამზადებდა — ენას უსწორებდა, ძველი და ახალი მწერის შეუსაბამობას არკვევდა, ზოგიერთ აღწერას, თქმას ან შედარებას სცვლიდა; — იზარდა ჩემმა ჩეკილმაო, — შეშხაროდა მას გიორგი, — მომესწრო მეგობარი-თანამშრომელიო. ვინ წარმოიდგენდა, რომ მას არ დასცალდებოდა მისთვის სანატრელ „ახალ“, მეოცე საუკუნეში გამოიბეჭდა, არც თავისი ოცნების აღსრულება, — შვილებთან თანამშრომლობა... იგი ხომ ჭერ 58 წლისაც კი არ იყო, როცა 1900 წლის იანვარში გარდაიცვალა.

ამნაირად, გიორგი წერეთელი მე მხოლოდ რვა წლის მანძილზე მახსოვს (1898-1900), მაგრამ ეს რვაწლეული ძალიან მდიდარი იყო შთაბეჭდილებებით.

მან თბილისში მახსოვს გიორგი, ან ჩვენას (დღევანდელი ენგელის ქუჩა, № 84, მეორე სართული) ან მის ბინაზე, რომელსაც თავიდანვე „რედაქცია“ ეწოდებოდა; მან ფოთში ვხედავთ მას, ჩვენთან, 1895-1896 წლებში; მან მამიდებთან, ქუთაისში, 1894-1898 წლებში, მან ისევ თბილისში, ჭერ მის ღოგინად ჩავარდნამდე, შემდეგ მის უკანასკნელ წუთებისას.



# ჩვენი საყვარელი მასწავლებელი

მწელი მოკლე მოგონება დაწერა ადამიანზე, რომელთანაც დაკავშირებულია მთელი მენი შეგნებული ცხოვრებისა და მუშაობის ნახევარზე მეტი დრო.

მწელი მოკლე წერილში აღწერს ის უდიდესი ღვაწლი და ამაგი, რომელიც დასრულდა ქართული ფსიქიატრიის განვითარების საქმეს გამოჩენილმა მეცნიერმა და პედაგოგმა, პროფ. არკადი გოცირიძემ.

მისი მოწოდებების ხსოვნებიდან არასოდეს არ წაიშლება მისი სახელი. ის იყო არა მარტო დიდად ერუდირებული და ბრწყინვალე კლინიკისტი, არამედ, იმავე დროს, უანგარო, სპეტაკი, კეთილშობილი და უაღრესად პრინციპული ადამიანი, რომელიც ყოველთვის თავის საკუთარს, პირადულს უმორჩილებდა საზოგადოებრივსა და საერთო საქმეს.

არკადი გოცირიძეს განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა თავის მრავალრიცხოვან მოწაფეებსა და თანამშრომლებთან; ის მყავდად მომთხოვნი იყო და ამასთან, ყოველ ნაბიჯზე დაიდ გულისხმიერებას, ყურადღებას და მზრუნველობას იჩენდა თავისი თანამშრომლებისადმი, იყო ყოველთვის აქტიური მონაწილე მათი ჭირ-ვარამის, გამამხნეველი ყოველ გაჭირვებაში, გზის მაჩვენებელი და მრჩეველი რაიმე გადაწყვეტილების მიღების დროს.

ყველას, ვისაც მასთან რაიმე საქმიანი ურთიერთობა ჰქონია, კარგად ახსოვს, რომ არკადი გოცირიძეს არასოდეს არ შეუტყლია პირობა, არ გაუტეხავს სიტყვა, არ უმტყუნებია საქმისათვის. ამასვე ასწავლიდა იგი თავის მოწაფეებს; „მე უპირველესად ადამიანის პიროვნებას ვცემ პატივს და შემდეგ მეცნიერსო“, იტყოდა ხოლმე იგი.

ყოველთვის დინჯი, უჩქარებელი, მშვიდი, თავშეკავებული ყოველ სიტუაციაში, არასოდეს აფექტს არ აპყვებოდა; მის მოწაფეებს და თანამშრომლებს არასოდეს გაუგონით მისი აწეული ტონიცი კი. არასოდეს მომხდარა მას დეგვიანებობა, ან ადრე დანიშნული თათბირი თუ სამეცნიერო შეკრება შეეცვალა, დასახული გეგმა დროზე არ შეესრულებოდა. ის იმდენად პუნქტუალური და ორგანიზებული ადამიანი იყო, რომ აკადემიკოს პავლოვისა არ იყოს, მისი სამსახურში მოსვლა-წასვლით შეიძლებოდა გცოდნოდა რა დროა, დღის რომელი საათი.

არკადი გოცირიძე დიდი ოპტიმისტი იყო, არ უყვარდა ოხვრა და წუწუნი, დაბრკოლება ვერასოდეს ვერ შეაკრთობდა. ამასვე მოითხოვდა თავისი მოწაფეებისაგან. ის ასწავლიდა თავის მოწაფეებს არა მარტო სპეციალობას — ფსიქიატრიას, არამედ იმასაც, თუ როგორ უნდა ცხოვრობდე, მუშაობდე, იბრძოდე უკეთესი მომავლისათვის.

მან განვლო ცხოვრებისა და მოღვაწეობის საკმაოდ ვრცელი გზა. კიევის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ის ერთბაშად იწყებს აქტიურ საქმიანობას ხალხის ჯანმრთელობის დასაცავად. სამოქალაქო ომის ქარიშხლიან წლებში იგი რუსეთშია, მუშაობს აღმოსავლეთის ფრონტის ევაკოპოსპიტლების სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე, შემდეგ ჩამოდის საქართველოში და განაგრძობს ნაყოფიერ საზოგადოებრივ და სამეცნიერო შრომას ქართული მეცნიერული ფსიქიატრიის მამამთავრის პროფ. მიხეილ ასათიანის ზღვრულად აღზრდილობით.

არკადი გოცირიძის მრავალმხრივი შემოქმედებითი ძიების ცენტრში ნე-

როზების და ფსიქოთერაპიის პრობლემები იდგა. ორ ათეულ წელზე მეტი დროის განმავლობაში იგი თავს დასტრიალებდა ამ საკითხებს, რომელთა შორის ძირითადია ნევროზების კლინიკური დიფერენციაციის და კლინიკური ტიპოლოგიის საკითხები.

არკადი გოცირიძის ასეთი განსაკუთრებული დაინტერესება ნევროზების პრობლემით შემთხვევითი არ იყო. ქართული ფსიქონევროლოგია და მისი ფუძემდებელი პროფესორი მიხეილ ასათიანი, ჯერ კიდევ 1912-15 წლებიდან დაწყებული, დიდი ინტერესით სწავლობს ნევროზების და ფსიქონევროზების საკითხებს. აქედან ცხადად ჩანს, რომ არკადი გოცირიძის მეცნიერული ძიება გაიშალა მომზადებულ და ნაყოფიერ ნიადაგზე, იგი შემოქმედებითად აგრძელებს ამ სფეროში თავის მასწავლებლის ტრადიციებს და თავისი ორიგინალური გამოკვლევებით ამდიდრებს ნევროზების და ფსიქოთერაპიის შესწავლის სფეროს.

პროფესორ არკადი გოცირიძის მოღვაწეობა ფსიქოთერაპიის დარგში, თავის დღობზე, აღიარებული იყო საბჭოთა წამყვანი ფსიქოთერაპევტების მიერ. იგი მუშაობდა ფსიქოთერაპიის როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საკითხებზე და ამ მხრივ წინ წასწია ქართული ფსიქოთერაპიული აზროვნების განვითარების საქმე.

როგორც თავის მეცნიერულ შრომებში, ისე პრაქტიკულ ფსიქოთერაპიულ მოღვაწეობაში, პროფესორი გოცირიძე ყოველთვის ხაზს უსვამდა ნევროზული ავადმყოფების ფსიქოთერაპიული მკურნალობის აუცილებელ შეხამებას მედიკამენტოზურ, ბიოლოგიურ, ფიზიოთერაპიულ და სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდებთან.

დღეს, როცა მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერების ძიების შედეგად ფსიქოთერაპია განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა (მხედველობაში გვაქვს ა. ზურაბაშვილის ნაშრომები, რომლებიც გადაითარგმნა მსოფლიოს რამდენიმე ენაზე, მანგრედ ბლეილერის ცნობილი სტატია „ფსიქოთერაპია დღეს“ და ევროპაში ბოლო წლებში მიმდინარე დიდი დისკუსია მიულერ-პეგემანის და შულც-მენკეს მომხრეებსა და მოწინააღმდეგეთა შორის), როცა ფსიქოთერაპიის საზღვრები უკვე მოიცავენ არა მარტო რეაქტიულ-ფსიქოგენურ, არამედ ფსიქოზურ და ზოგიერთ შემთხვევაში, ორგანულ აშლილობებსაც, განსაკუთრებით სასიხარულოა აღინიშნოს, რომ პროფ. გოცირიძის ფსიქოთერაპიული შრომები კვლავ ინარჩუნებენ თავიანთ აქტუალობას და შემოქმედებით ინტერესს.

გარკვეული დამსახურება მიუძღვის პროფესორ გოცირიძეს ბავშვთა ფსიქიატრიის სფეროში. მას შესრულებული და დაბეჭდილი აქვს რამდენიმე შრომა ბავშვთა ფსიქოთერაპიის განვითარების, ასაკობრივი კრიზისების, ბავშვის თამაშის ფსიქოლოგიური საფუძვლების და ე. წ. „მწელი ბავშვობის“ შესახებ.

პროფესორ არკადი გოცირიძის შემოქმედებითი მუშაობა არ იფარგლებოდა მარტო აკადემიური ჩარჩოებით; მის მოღვაწეობაში უდიდესი ადგილი ეკუთვნის ორგანიზატორულ მუშაობას ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. მისთვის არ არსებობდა განყენებული მეცნიერება, მოწყვეტილი ცხოვრებისაგან; მისი თეორიული ძიებანი მუდამ შერწყმულნი იყვნენ პრაქტიკულ საქმიანობასთან, ეტოხალ სინამდვილესთან. მისი ყურადღების ცენტრში მუდამ ადამიანი და მისი ჯანმრთელობაზე ზრუნვა იყო მოქცეული.

არკადი გოცირიძე გარდაიცვალა 1954 წელს. ჩვენმა საზოგადოებრივმა ამას წინათ პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობით აღნიშნა მისი დაბადების 75 წლისთავი. ჩვენ, მისი მოწაფეები მუდამ სიყვარულით გავიხსენებთ ამ შესანიშნავი ადამიანისა და მეცნიერის სახელს.

ოლგა ბითავა,

მ. მუსხიანიშვილი,

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები.

გიორგის დასაფლავებაც მიდგება თვალწინ, დიდუბეში, ბარათაშვილის საფლავის ახლო, ცოტა მის უკან.

\* \* \*

ფოთში გიორგი ყოველთვის მამას გვერდით მახსოვს, პორტის მშენებლობით დაინტერესებული და მამასთან ცხარედ მოკამათე, ან ზღვის პირას, ან ჩვენი კოშკის თავზე, ზაიდანაც მთელი რიონ-კაპარჭა-პალიასტომის არემარე ჩანს, ზღვის შორეულ ჰორიზონტამდე. გიორგისთვის ყველაფერი ეს ნაცნობი იყო; აკაკის თქმით, ფოთი ხომ ყოველ მის რომანში იყო „წამოჭიმული“ ხან თავში, ხან ბოლოში. ყოველივე ამის გამო გიორგი სიცოცხლით იტყოდა ხოლმე: აკაკი „ბათუმისტი“, მე კი „ფოთისტი“ ვარო. და ეს მართლაც ასე იყო, სანამ ქუთაისიც არ გამოდიოდა სცენაზე, რომლის ხსენებაზე გიორგი ყველაფერს ივიწყებდა. „ოქროს-

ჩარბახიანი“ ქუთაისი მას ყველაფერს ერჩინა მთელს ქვეყნებზე.

დღესაც თვალწინ მიდგას გიორგის გაბრწყინებული სახე, როცა აკაკის „ქუთაისი“ წაიკითხა: — ო, მართლაც რომ მშვენიერო ქუთაისო! რა კალამი აქვს ამ კაცს, — იმერებდა იგი რამდენიმე დღის განმავლობაში, — ენის როგორი გრძნობა... სა-ვარდო! სა-მანოს!

ხომ ასე უყვარდათ ერთი-მეორე, მაგრამ იმ ხსენებში აკაკი რაღაცაზე შემოსწყრა გიორგის. ერთ კვირაზე მეტი არ გამოჩენილა რედაქციაში, რომელიდანაც წინათ თითქმის არ გამოდიოდა; გიორგის მისი „ვაბუტვა“ ხსენდა, მაგრამ არ იმჩინებდა. კეკე მესხის შეკითხვაზე, რაზე გაგიწყრა აკაკიო? მან უპასუხა: — ვერ მოვრიგდით, წერილები, თვადმა აწნაურის აზრი არ მოიწონაო.

გიორგი და აკაკი ხშირად ეძახდნენ თავიანთ თავს „წერეთლებს“ მრავლობითი რიცხვით ან კიდევ თერგადლეულ წერეთლებს. ქუთაისში გი-

ორგი ჩემთვის განუყოფელი იყო აკაკისა და მამაჩემისაგან. აქ მათ მეოთხე რიონისპირელი თერგადლეულიც ემატებოდათ, კირილე ლორთქიფანიძე (1889-1918), მათი პეტერბურგელი მზრუნველი და „რეპეტიტორი“, ცოცხლად გამოყვანილი ნიკო ნიკოლაძის „სტუდენტობის დროის“ მოგონებაში ფილიბე ბერიშვილის სახელით.

შეიკრიბებოდა ერთად ეს ოთხი მეგობარი და იწყებოდა დაუსრულებელი კამათი. ამ კამათის დროს გიორგი, აკაკი და კირილე ერთ მხარეზე იყვნენ და მამა მათ თვალსაზრისს „ბავშვურად რომანტიკულს“ უწოდებდა. მამაჩემი მეორე მხარეს რჩებოდა გარყეული, მისივე სიტყვებით „ვით მალადებელი უდაბნოსა შინა“. დანარჩენი სამი მეგობარი „მეტისმეტ პოლიტიკოსს“ უწოდებდა ამ მის „უდაბნოს“ და იყო ამაზე დაუბოლოველი შეხლა-შემოხლა, რომელიც გარეშე პირს ხშირად ჩხუბად მოეჩვენებოდა. მაგრამ ეს ჩხუბი მათ უფრო აახლოებდა ერთი-მეორესთან.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# ზოგოზს სოხსანი- სოხსანი...

პირველი რევოლუციის წლები... გურია... ქვეყანა ხანძრის კვამლში იყო გახვეული. გენერალ ალი-ხანოვ-ავარსკის კაზაკები არბევდნენ და სწავდნენ სოფლებს; ყველას, ვინც მათ წინ აღუდგებოდათ, ან იქვე ჰკლავდნენ, ან შორეულ ციხეებში ასახლებდნენ. ასე გადასახლეს ნესტორ კალანდარიშვილიც; ეს იყო 1907 წელს; მისი გოგონა პატარა



მარცხნიდან — კატია მკოლოვა (ციალა ბეოიძე), ნესტორ კალანდარიშვილი (ელგუჯა კლიკაძე), ივანე სტროლი (მ. გვენეტაძე), გლეხი (ბ. დეისაძე), მიხეილ ასათიანი (ა. ცხადაშვილი).



მარცხნიდან — ალექო შენგელია, ნინო კალანდარიშვილი, ნესტორ კალანდარიშვილი (მსახიობი ელგუჯა კლიკაძე) და რეჟისორი შალვა გაწერელია.

იყო და არ ახსოვს როგორი იყო მამა, შორს წაყვანეს, ძალიან შორს, ვეღარც თვალს მიაწვდნენ, ვეღარც ხმას, აღარც წერილი მოდიოდა; წლები კი მისდევდა ერთი-მეორეს; ნესტორისა არაფერი ისმოდა; მერე მოხდა დიდი რევოლუცია, განთავისუფლდა ქვეყანა, კვლავ ათეული წლები წაიწვევნენ ერთი-მეორეს, ასე გაიარა ნახევარმა საუკუნემ. და აი, ამ ორმოცდაათი წლის მიწურულში ნესტორი დაბრუნდა სამშობლოში, დაბრუნდა, როგორც ბრუნდებიან საყვარელი აჩრდილები, რომლებსაც სიკვდილი ვერ ერევთ, დაბრუნდა იმისათვის, რომ როგორც პოეტი ამბობდა, ცოცხალი-ვით ელაპარაკოს ცოცხლებს.

ფედორ ბასმანოვი (ა. ჟორგოლიანი).



მარჯანიშვილის თეატრის დარბაზში, იმ საღამოს, როცა იქ ტუიბულის თეატრის სპექტაკლი მიდიოდა, მაყურებელთა შორის ყველაზე მეტად ერთი ხანში შესული ქალი დედავდა, შესცქეროდა ციხეების პაპას და მის ყოველ სიტყვას, ყოველ ნაბიჯს, ყოველ ღიმილს შეხაროდა; როცა სპექტაკლი დამთავრდა, ის სცენაზე ავიდა და მსახიობს გადაეხვია.

— შე ხომ მამა არ მახსოვს, ძალიან პატარა ვიყავი! — თქვა მან.

ახსოვს ნესტორის სახელი ცივ ციხეებში, ირკუტსკში დგას მისი ძეგლი, სადაც მუდამ მიაქვთ ყვავილები. მას, ორმოცდახუთი წლის ვაჟკაცს, „დედუშკას“ ეძახოდა მთელი ციხეები; ასე მიმართავდნენ არა მარტო ასაკით უმცროსნი, არამედ სამოცდაათი და ოთხმოცი წლის მოხუცებიც; ახსოვს საქართველოს თავისი სასახლო შვილი, არ დაუვიწყა საქვეყნო მადლი და სიკეთე, თავისი დიდი მატთანის ფურცლებზე ჩაიწერა ყველა გმირული ნაბიჯი ნესტორისა — ისიც, თუ როგორ შემოიკრიბა მან მებრძოლები რევოლუციის პირველივე დღეებში და შექმნა ცხენოსანი დივიზიონი, ისიც, თუ როგორ ებრძოდა კოლჩაკის ურდოებს ცხრაას ცხრაშეტი წლის ზაფხულში, ისიც, თუ მომდევნო წელს როგორ აძევებდა ზაიკალის მიდამოებიდან იაპონელ სამურაებსა და სემიონოვის პოლკებს, ისიც, თუ რა მოხდა გონგოტას სადგურზე 1920 წლის 12-18 მაისს, სადაც კალანდარიშვილის დი-

ვიზიამ დაამარცხა იაპონელთა რიცხვობრივად ჭარბი ჯარები და თავისუფლების დროშა აღმართა ამ მხარეში.

1922 წელს ნესტორი დაეცა ბრძოლის ველზე, როცა ის იბრძოდა იაკუტის გასანთავისუფლებლად. ყოველივე ამან მოგვიტორობს ალექო შენგელიას „ციხეების პაპა“. ამ პიესაში მწერალმა თვალწინ წარმოგვისახა ციხეში მყოფი პარტიზანებისა და მათი სახელოვანი მეთაურის მთელი საბრძოლო თავგადასავალი, გვიჩვენა ემოქა სამოქალაქო ომისა, როცა ჩვენი სალხი იცავდა ოქტომბრის მონაპოვარს. პიესა დადგა ტუიბულის სახალხო თეატრმა. ეს საფესტივალო სპექტაკლი მიმდევნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს. სპექტაკლის რეჟისორია შალვა გაწერელია, მხატვარი — ივ. ასკურავა, კომპოზიტორი — შამია ხატელიშვილი, ნესტორ კალანდარიშვილის როლში გამოვიდა მსახიობი ელგუჯა კლიკაძე.


სპექტაკლს წარმატება ხვდა წილად, მაყურებელმა იგი გულთბილად მიიღო.

თ. ჩიბოგიძე



მარცხნიდან — ირკი (ი. დონხაძე), ხარჩილავა (ი. მომცელიძე), ლავრენტიევი (პ. თოღაძე).

პირველი სურათები ძალბატონის.



სახელონი ლის ცეკვ აკადემია შენობის სახელონი

# უუნჯითა და სჯუთიით



კობელის პირველი მონახაზი.

თბილისის სახატგრო აკადემიის არსებობის ორ-მეცხრეწლიანი უფროსი წელი უფროსი. პირველი წლებში ჩვენს სახატგრო აკადემიის მხოლოდ ორი ფაკულტეტი ჰქონდა - არქიტექტურის და კერამიკის. შემდგომში მათ მიემატა დერეფრის, გრაფიკის, ქანდაკების და გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტები, რომლებსაც სხვადასხვა გან-სებები ეყო.

დღესაც ჩვენს დერეფრას, გრაფიკის, ქანდაკების, კერამიკის, საერთოდ ჩვენს სახატ ხელოვნების მთელ მსოფლიოში იცნობენ და მაღალ შე-დუხებას აძლევენ, ეს უპირველეს ყოვლისა, ჩვენი აკადემიის დასახელებას.

მათ ხალხით იწყებენ ვეღვან, და ისინი თავი-ანთ მდიდარ ცოდნას, ოსტატობას და გამოცდი-ლებას უზაირებენ მოძვე რეპუბლიკების ახალ-გზარეუბს.

გრაფიკის სახელონი.

თბილისის სახატგრო აკადემია არსებობს კერამიკის საწვავლო-ექსპერიმენტული სახელონი, რომელიც სისტემატურად იღებს მონაწილეობას საკუშირო და საერთაშორისო გამოვენებში. ამ სახელონიში შექმნილა ახალმა ნაწარმოებებმა სერიოდ, ქართულ კერამიკისა ნაწარმოებებმა, მთელი მსოფლიოს აღიარება მოიპოვეს.

მეგობრის რჩევა.



ასე ცოცხლებმა ითბა.



აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებლი ერთი წავუწ.





საბავშვო ბალი.



ლალის წყლები.

# ლიბისნი ერისთავი

გაზაფხული.



ლიბისნი ერისთავი ათიოლე წლის წინ დამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია და თავისი ინდივიდუალური ხელწერით, სახეების ღრმა, მხატვრული განზოგადებითა და შესრულების ოსტატობით თავიდანვე მიიპყრო ფართო საზოგადოების ყურადღება.

დ. ერისთავის ხატვის მანერა სადაა, დახვეწილი, უოველი მისი შტრიხი ფართოდ დამტკევი და ბევრის მოქმელია დ. ერისთავის ნამუშევრებში გვიხიბლავს როგორც მისი იდეური ჩანაფიქრი — ადამიანის სიუვარული, სწრაფვა სიცოცხლისა და სიყვითის გამარჯვებისაკენ. — აგრეთვე ამ ნაწარმოების ტექნიკური შესრულების მაღალი ხარისხიც. მხატვრის ძირითადი თემა ახალგაზრდობაა. დ. ერისთავის მიზანია, ამ ახალგაზრდობაში დაინახოს, გააღვიოს და ხელი შეუწყოს უოველივე კარგის, პროგრესულის, კეთილის გამარჯვებას.

ახალგაზრდა მხატვარი სისტემატურად მონაწილეობდა როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო გამოფენებზე მისი ათი წლის მუშაობის შედეგად იყო მიმდინარე წლის დასაწყისში მოწყობილი გამოფენა. რომელმაც მთლიანი სახე მისცა და მკაფიოდ დაგვანახა დ. ერისთავის საინტერესო და მდიდარი შემოქმედება.


ქართული გრაფიკის ნიჭიერ წარმომადგენელს დ. ერისთავს 1967 წლის აპრილში საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის პრემია მიენიჭა. დ. ერისთავი ამ საპატიო პრემიის პირველი ლაურეატი მხატვარია.



რილა გარეუბანში.



პორტრეტი



კალათბურთი.



ქვის მთლელები.

ჩების გაშვიდველი.






მოსკოვის გარეუბანში.

ამას წინათ საქართველოს მხატვართა კლუბში მოეწყო მოსკოველი მხატვარი ქალის ვერა ვარტ-პატრიკოვას ნამუშევრების გამოფენა. ჩვენმა სტუმარმა განოფენაზე წარმადგინა მთელი რიგი აკვარელებისა, რომლებიც ასახავენ ძველი და ახალი მოსკოვის ცხოვრების ეპიზოდებს.

ვერა ვარტ-პატრიკოვა თბილისის მკვიდრია, დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია, მისი მასწავლებელი იყო აკად. ლანსერე. ვარტ-პატრიკოვას ნაწარმოებები ხიბლავენ მნახველებს ოპტიმიზმით, ფერთა შესანიშნავი ჰარმონიით და შესრულების ოსტატობით.



ბენზინის ასაღებად.

კოშკური ამწე.



სანუენებლო მოედანი.

### 3. პარკ-პაგრიკოვა



გაბლარ მუხრანელი

მოთხრობა

გადასახველთან გიორგიმ ვიღაცის ხელის შეხება იგრძნო, მობრუნდა, შეცხუნებული შეაცქერდა მის წინ ამართულ შუახნის კაცს.

— გოგი, ვეღარ მიცანი? — ღიმილით ეკითხებოდა უცნობი.

ამ ხმამ გაახსენა, ვინც იყო, სახე გაებადა.

— რას ამბობ, კაკო! როგორ ვერ გიცანი. — ხელი გაუწოდა, — სად დაიქარგი, კაცო, რამდენი ხანია აღარ მინახიხარ!

კაკო მთლად ღიმილად იქცა.

— შენი წარმატება ყველას გაგვიხარდა, ჩემო გოგი, წავიკითხე, დაუწინაურებიხართ... ათას კაცს ვაჩვენებ ის გაზეთი, ვუთხარი, ბავშვობის მეგობარია-მეთქი. გახსოვს, ჩვესა ჩიხი... შენ მეცხრე ნომრად თამაშობდი!

— მახსოვს. სხვა რასა იქ სად მუშაობ?

— ისევე ძველ ადგილზე, აბა სად წავიდოდი! ლუკმას ვშოულობ, ტკბილია და უსაყვიდურო.

— მაგას რა სჯობია!

ხალხით სავსე ტროტუარს გაჰყვინენ. კაკომ თითებით მოიფოცხა ქერა უღვაწეები და ნამხანაგარს ბაზრის მუშტარავით შეხედა.

— მართლაც კარგად გამოიყურები, ჩემმა მზემ...

გიორგის უწადილოდ ჩაეღიმა:

— შენ კი რა, ჯანს ემდურ? ცხრამეტი წლის კაბუქსა ჰგებხარ!

— ეჰ, ადრე დამაწვა ოჯახი, ნაადრევად შეგები უღელში. სწავლა, როგორც იცი, ვერ დავასრულე და...

— სამაგიეროდ შენს შვილს არაფერი გაუჭირდება!

— ცხადია... — რაღაც ორბოფულად და არც თუ დიდი ხალხით დაემოწმა კაკო.

გიორგიმ საათს დახედა, ცხრა სრულდებოდა. სამსახურში არ უყვარდა დაგვიანება, არა და უხერხული იყო, ერთბაშად გასცლოდა დიდი ხნის უნახავ ნაცნობს.

კაკომ შეატყუო და დაფაცურდა.

— ერთ წუთს მომიცადე. — თავქვე დაეშვა.

ხუთიოდე წუთის შემდეგ კაკო ისევ გიორგის წინ აიტყუა.

— მობრძანდით! — და ტაქსისაკენ ხელით ანიშნა.

— ვიცი, გავიანდებათ...

— შე კაი კაცო, რათ წუხდებოდი! ფეხით მიწოდდა გავლა, ორ ნაბიჯზე ვართ!

— მერე რა, ეგ არაფერია... — კაკომ კაბინის კარი გაუღო, — გთხოვთ...

გიორგიმ ფრთხილად მიიხურა კაბინის კარი. მერე კაკო დაქდა, საჭურჭის მიეყრდნო და რაღაც ფიქრებს მიეცა.

— შვილი რამდენი გყავს? — ჰკითხა გიორგიმ.

— ერთი! — როგორღაც ხმა ჩაუწყდა კაკოს.

— ერთი? ერთი რა არის, შე კაი კაცო!

— რა ვქნა, პირობები არა მაქვს!

— ათი თუ გჯობნის, ოცს შენ სჯობიხარ, რომელ პირობებს ემდურები?

— უსაკერებლო შარვალი რომ მაცვია? იქნებ ტანთ ვიცმევ, მაგრამ მეტი არაფერია ქვეყანაზე საჭირო? არ არის ეს იოლი საქმე!

— იოლი მარტო ფაფის ჰამაა! მაშ როგორ გინდა? ისე ცხოვრებას რა გემო აქვს?

— ეგრე გგონია?

— მგონია კი არა, ეგრეა, — მიძალა გიორგი და მაშინ მიხვდა, რომ კაკო არ შეცვლილიყო. რატომღაც მოაგონდა ომის წლები, როცა კაკომ სიხსლისფასად ღირებულნი ხუთი სიმინდის ფქვილი ძალზე იაფად უშოვნა გიორგის.

— კაცმა რომ გვითხოს, ვფხვებებს ვეძახით თავს. ხუფრასთან ხომ ნულარ იტყვი: შემოვუსხდებით და ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს ვლაპარაკობთ — გავვიმარჯოსო, ვემრავლდეთო, საქმით კი...

— ნეტავი შენა...

— რა, მართლს არ ვამბობ?

— ბიჭო, აბა ის კარგია, ზოგი ქიანჭველასავით რომ დაისხვებს ბავშვებს და მერე ვერ გაუწრდია? ქუჩა-ქუჩა დაწანწლებენ და, — კაკომ თითებით გადაჭვარდინა, — ვითომდა ციხეში ამოყოფნო თავს.

— არა ხარ, მართალი!

— მართალი ვარ! იმდენი სიცოცხლე და გახარება მე, რამდენიც მაგნიირი ამბავი ვიცი... მე კი ერთი მყავს და უმაღლესში ვერ მომიწევია. ან რომელ უმაღლესზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ჩვენში ერთ ადგილზე ორმოცდაათი შედის?

— იმ ორმოცდაათში ის ეწყობა, — გაუგრძელა გიორგიმ, — ვინც ყველაზე საუკეთესოა, ხალხის არ აკლია და მოშადება.

— შენს პირს შაქარი, ნეტავი ეგრე იყოს, ეგრე რომ არ არის? ბრმა რას ტირის და თავის ორ თვალსაო.

— აბა, რა გითხრა, შენ მაინც შენსას გაიძახი. კაკოს კიდეც რაღაცა უნდოდა ეპასუხნა, მაგრამ მანქანა მოწყვეტით შეჩერდა.

ჩამოვიდნენ. გიორგიმ ჯიბისაკენ წაიღო ხელი.

— აააა, არ გაბედო, — ეძგერა კაკო, — მეწყინება! — სამზანეთიანი ამოიღო, შოფერს გაუწოდა, კაბინის კარი მიხურა და თითქოს ქორს აფრთხობსო, ხელი აუქნია.

შოფერმა თავი დაუქრა და მანქანა დასძრა.

— ხურდა? — შეცბა გიორგი.

კაკოს ჩაეცინა:

— დაე, მაგანაც ხეირი ნახოს! ჰამა ყველას უნდა ქვეყანაზე.

გიორგიმ მანქანას გააყოლა თვალი და კაკოსთვის არც შეუხედავს, ისე თქვა:

— ჰმ, ყველაფერში ასეა. ვადგენთ კანონს და თვითონვე ვარღვევთ...

— კარგი, კარგი, კაცი წვრილმანი არ უნდა იყოს!

— წვრილმანი?

— აბა, რა? დარიბიცი ვიყო და გული მაინც არა მქონდეს მდიდარი?

გიორგიმ მხრები აიჩეჩა.

— აკი ვსაქვი, ყველაფერს ჩვენ თვითონ ვაფუჭებთ-მეთქი. არ გიწყინოს და, თავის ნაოფლარს კაცი ასე ადვილად ვერ გადაადგებს.

გადაკრულად ნათქვამს კაკომ უური მოუყრუა, სიტყვა ბანზე აუგდო.

— შენ ის შითხარი, როდის მოიცლი, რომ სადმე, ქალაქგარეთ გავიაროთ, ლუკმა გავტეხოთ, ვილაპარაკოთ.

გიორგიმ ვითომ ვერ გაიგო, ისე ჰკითხა:

— ახლა საით გავიწევი?

— სამსახურში.

— საქმე ხომ არაფერი გქონდა ჩემთან?

— ახლა რაღა იქნება და ამ დღეებში გამოვივლი.

— კი, ბატონო, თუ რამე შემეძლება. აბა, ნახავიდი, გმადლობთ, კაკო, გმადლობთ.

— რის მადლობა, შე კაი კაცო. ჩვენში მაგები მოდის?

გიორგი თვალს მიეფარა, კაკომ თვალი გააყოლა. ის თუმცა დღეს გიორგისთან საგანგებოდ იყო მოსული, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ დღეს მეტი აღარაფერი შეიძლებოდა, თავისი სათხოვნელი შემდეგისთვის გადასდო.

\* \* \*

გიორგი ჯერაც არ იყო კაბინეტში შესული, რომ კვლავ ვიღაც მიესალმა. ფიქრებიდან გამოერკვა და მისკენ მომავალ მამაკაცს დააკვირდა.

— არჩილ, როდის ჩამოხვედი? — გუშინ.

ჯერ სტუმარი გაატარა, მერე კაბინეტში თვითონ შეტყუა.

— ვიცი, ისე არ ჩამოხვედი.

— ბავშვის ჩაწერა მინდოდა და...

— ჩაწერა? არ იყავი მილიციაში?

— არა!

წამიერი ღუმილი ჩამოვარდა. გიორგიმ არჩილს გადახედა.

— მაშ რა ვქნათ?

— რა ვიცი, ჩემო გიორგი, თუ მაგ სიკეთეს მიწამ, ხომ იცი, მეც კაცი ვარ.

— ცოტა მოგვიანებით შემომიარე, ჩემო არჩილ, გავიგებ ყველაფერს. მივიკითხ-მოვიკითხავ. არჩილი მოიღრუბლა, ეგონა გიორგი ახლავე გასცემდა განკარგულებას, უბრძანებდა ვიღაცას, ის ვიღაცა დატრიალდებოდა და...

და აბა, იმედი არ გაუმართლდა!

— კარგი, კარგი, რას ვწამ, ძალიან კი გთხოვ და...

— არჩილი კაბინეტიდან გავიდა.

კარში ფაქიზად ჩაცმული მანდილოსანი გამოჩნდა.

— შეიძლება?

— მობრძანდით! — თავაუღებლად მიუგო გიორგიმ და ქალადები განზე გასწია.

— გამარჯობა, გიორგი! — რაღაც თბილი და ახლობელი ხმით მიესალმა.

— მაყვალა? — გიორგი წამოგდა, ხელი მოწიწებით გაუწოდა, — გამარჯობა, გამარჯობა, ჩემო მაყვალა, რა ქარმა გადმოგაგდო აქეთ, — აათვალიერ-ჩაათვალიერა, — ძალიან შეცვლილხარ, დიდი ქალი გამხდარხარ!

მაყვალა ჩამოქდა. გიორგიმ ახლოს მიუდგა თავისი სკამი.

— აი, სად შეგავხვედრა ბედმა!

გიორგის ოდნავ გაეღიმა, ამ ღიმილში სიმორცხვე და რიდი იგრძნობოდა.

— ასეთი კარგი გოგო რომ გყავდა, არ მეტყვი, ვინ მოგტაცა შენი თავი?

— ეჰ, რაც იმ უხნიდან! გადავხსნდი, ჩვენ ერთმანეთი არ გუნახავს! — პასუხის მაგიერ ბედს დაემდურა მაყვალა და თვალბეჭედი სევდა მოერია.

— ჰო, არ გვინახავს.

— ვისზე გათხოვდით მკითხე, არა? არის ერთი, კარგი კაცია...

— სად მუშაობ?

— არსად, ახლახანს დაბრუნდა რუსთავიდან. ხუთი წელი ვატარებინეს ალაღ-მართალ კაცს.

— ააჰ, ეგ ვერ თქვი კარგი საქმე. რაზე იქდა?

— გაფლანგვა დაბრალეს.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— ბავშვები გყავთ?

— ორი!

— თქვენ არ მუშაობთ?

— ბავშვებს ვინა მიხედავს?

— მაშ რით ცხოვრობთ?

— მამაჩემი გვეხმარება.

გიორგი დაფიქრდა.

— ჩემი თავი რამ გაგახსენა, მაყვალა? ქალმა თავი დახარა და დაწვები შეეფაკა.

— იქნებ მიუღწეო მომწიფო სადმე.  
— რა ღარგის მუშაია?  
— ვაჭრობის...  
— სპეციალობა არაფერი აქვს?  
— არა, სხვა არაფერი იცის!  
— მაშ არაფრის გაკეთება შეუძლია მაგის გარდა?

— არა!  
— სხვაგან რომ იყოს? აი, მაგალითად ქარხანაში, მა?

— არ ვიცი...  
— დაფიქრებით, ახალ პროფესიას შეიძენს, მუდმივად და უსაყვედუროს, პირველად იქნებ გაუჭირდეს, მაგრამ თანდათან მოემატება ხელფასი.  
— მართალია, მაგრამ...

— არ მოგწონს, არა? — უწადინოდ ჩაეცინა გიორგის და იქვე შერცხვა რატომღაც, — მოილაპარაკეთ შინ, ურჩიეთ, იქნებ დათანხმდეს?  
მაყვალა ცივად წამოდგა.

— არა მგონია ბოდიში, რომ ტყუილად შეგაწუხებთ.  
— როგორ გეკადრებათ, სალამი გადაეცით, დაფიქრდეს, ნუ აჩქარდება.

და კარებამდის მიაცილა სკოლისდროინდელი ამხანაგი და მეზობელი.

ქალაქებს ვერა და ვერ დაუბრუნდა. მთხოვნელთა შორის ბევრი აღმოჩნდა ახლობელი, ბრალიანი და უბრალო ნაცნობი.

\*\*\*

დღე ერთი იყო და ბედზე დამდურებულ ახლობელთა გამოჩენა ათასი.

მოუცდელობა, სხდომები, თათბირები, და მაინც გიორგის ფიქრში სწორად გაახსენდებოდა ხოლმე კაკო, მაყვალა, არჩილი, ბევრი სხვებიც. თუ რამეს დაპირდებოდა კაცს, ცდილობდა ისე მოეწყვა ყველაფერი, კანონი და სამართლიანობა არ შეებღაურებოდა.

კაკო არა და არ ჩანდა. ღრუბლის ქულასავით გააქრა მაყვალა.

ოო, როგორ უნდოდა დახმარებოდა სიყრმის თანატოლს, სწორ გზაზე დაეყენებინა მისი ოჯახი, მაგრამ გული სტიოდა, რომ ვერ უხვედებოდნენ მის წუხილს.

უნდოდა ბევრი რამ გაეკეთებინა სხვისთვის, მაგრამ იმ სხვას არ ესმოდა მისი და საკვირველი ის იყო, არც სურვილს ამუღავნებდნენ, გაეგოთ მისი გულისწინადადები.

იმ დღეს, საქმე რომ მოილია, მარტო დარჩა. დაღალულ-დაქანცულს ძილი მოერია, თავი დაუმძიმდა და ისეთი მოთენთილობა იგრძნო, როგორც არასდროს.

კარგა ხანს იჯდა ჩაფიქრებულში. ელექტრო ლიფტს დააჭირა თითი, მღივანმა მორიდებით შემოაღო კარი.

— ხომ არავის ვუკითხვარ?  
— დიახ, კაკო ვარო, დღესაც გელოდათ.  
— ხვალ უთუოდ შემახსენეთ.

კვლავ მარტო დარჩა.

კაკოს შვილის ჩარიცხვა უნდოდა უმაღლესში... მაგრამ ვანა შეიძლება მეცნიერების ტაძარში მოუშაადებელი და უმეცარი კაცი შეუშვა? იქნებ არც არის უმეცარი? თუ ასეა, რატომ წუხს კაკო? არა, არა, გიორგის წარმოდგენა არა აქვს, როგორ ახერხებენ ასეთ რამებს. მას არასოდეს არავინ არ შეუწყუხებია, თვითონ გაიკვლია გზა.

კაბინეტში გაიარ-გამოიარა, ფანჯარასთან მივიდა, თბილისს გახედდა.

ფართოდ გაეწია მკერდი ქალაქს. ელიას მთაზე ატყუროცნა კალთები, სამგორის ველისაკენ გაჭრილიყო, შტკვრის ხეობას გაშტკვოდნენ თეთრი, მრავალსართულიანი შენობები. შორს, შორს მკრთალად მოჩანდა ბარაჩოებში ჩასმული შენობები, სამშენებლო უბნები. უფრო შორს ამართულიყვნენ

ქარხნის საკამურები, საიდანაც ნებიერად მიიკლაკნებოდა კვამლი და მალა, ლურჯი ეთერის უკიდურეს სივრცეში ინთქმებოდა.

დიახ, იზრდება ქალაქი, მრავლდება ხალხი! ბევრნაირი აღამიანები არიან ქვეყანაზე, ძალიან ბევრნაირი და რამდენიც კაცია, იმდენივეა აზრი, გემოვნება, თვალსაზრისი.

ყველას სატივარს უნდა მიუგოდო ყური, მაღალი მოუძებნო.

ამისთვის ღირს ფიქრი. ამისთვის გამოგზავნეს აქ გიორგი, ამისთვის დააწინაურეს.

მაგრამ მარტო გიორგი ხომ არ არის? ბევრია გიორგისნაირი. ზოგი დაბლა დგას, ზოგი მაღლა. ისინი ერთად შეტყულებიან საერთო საქმეს.

\*\*\*

დამთავრდა სამუშაო საათები. დამშვიდობა შენიშნავალ თანამშრომლებს.

ჩამოათავა სამინისტროს გრძელი, ვანიერი კიბეები.

იქ, ქარხანაში, შედარებით პატარა სარბიელზე, თავს არ ზოგავდა, გული ერჩოდა, სულ იმას ცდილობდა, ყველას ისე ეგრძნო თავი, როგორც თავის ოჯახში. ამიტომ თუ იყო, რომ ქარხანას რესპუბლიკაში მუდამ პირველი ადგილი ეჭირა.

ჩიოდნენ მუშები, ინჟინრები, ისვენებოდნენ — გიორგი უკან დაგვიბრუნეთო. უყვარდა ყველა, ამიტომ ყველასაც უყვარდა, შინაურივით შედიოდა მათს ოჯახებში, ვინ მოსთვლის ვისთვის რა არ გაუტკობია!

და ახლა აქაც, ამ კაბინეტში, ბევრი რამ დახვდა გასაკეთებელი, მოსავარებელი.

დღე არ გავა, სახლში ვინმემ არ მიაკითხოს, რამე არ სთხოვოს. აქებენ, ფეხქვეშ ფინდაწად ეშლებიან, ერთმა ისიც კი უთხრა, ჩემი ღმერთი შენა ხარო!

გიორგის რატომღაც შეეშინდა. ძნელია ყველაფრის ცოდნა, ყველას ცნობა.

\*\*\*

ვანაშობის წინ ბავშვებს გაეთამაშა, გული რომ მოეჭრა, მათთან ერთად ივანეში. მერე თავის ოთახში სამუშაოდ ჩაიკეტა.

მოსხენება უნდა წაიკითხოს მეფოლადებთან. აგერ მეორე დღეა წერს, კითხულობს, მაინც რაღაც არ აქმაყოფილებს, ფაქტები, იცოცხლი, უამრავია, მაგრამ წის ყველა ჭანჭიკი თავის ადგილზე, ყველა ბორბალი თავის საბორბლებში?

ხვალვე წავა ქარხანაში, კიდევ ერთხელ დახვდავს იქაურობას, დაელაპარაკება ძველ ნაცნობებს, იქნებ მაშინ უბოვნოს თბილი და სასიცოცხლო ნერვი თავის ამ გრძელ საუბარს.

მოსხენება ხელახლა ჩაიკითხა, ღარიბია, უფერული, მშრალი, ხალხი კი მომთხოვნი. ღრმად იხედება, ძალიან ღრმად. მხოლოდ სიტყვის მოიმედე უფროსზე მაშინვე იცრუებს გულს, მერე მისი აღარაფერი სწავს.

ეგრეა ხალხი!

იმიტომა ხალხი ბრძენი, მოჭირნახული, ყოვლისშემძლე.

არა, არა, ხვალვე უნდა წავიდეს გიორგი ქარხანაში!

კითხვა დაამთავრა, ქალაქები უჭრაში შეინახა და წამოდგა.

ისევ მოძალდებულ ფიქრს გაჰყვა. მუდამ ერიდებოდა ამაო დაპირებას. თუ შემთხვევით წამოსცდებოდა დაპირება, სანამ არ შეასრულებდა, მანამდე გულს დარდი არ მოეშვებოდა. მომთხოვნიც იყო და სამართლიანიც.

კვლავ კაკო, მაყვალა, არჩილი დაუდგნენ თვალწინ.

მერე და პირობა რომ ვერ შეუსრულოს? თუმცა მათთვის პირობა არ მიუცია, მაგრამ ხომ უთხრა: ვეცდებიო! ეს ხომ ერთგვარი პირობაა?!

კვლავ კითხვები მოეჭარნენ. არ მოახსენეს, ვინაშე ვეცდებიოთ შეეხსენს და დასუსტეს.

ვერა და ვერ მოიხსენა.

ისევ ფანჯარასთან მივიდა, კისერზე შემოიჭდო ხელები და უაზროდ მიაშტერდა საოცრად ლურჯ, კამკამა ცას. კანადონს გულსაბოლოდ შესხმოდნენ მოციმციმე ვარსკვლავები.

— გიორგი! — შემოესმა.  
— მო! — უპასუხა შემკრთალმა და კარისაკენ შეტრიალდა.

ნახევრად გამოღებულ კარებში მისი ცოლი იდგა.

— გინდოდა რამე, ქეთო?  
ქეთომ რაღაც წერილი გაუწოდა.  
— სულ დამავიწყდა, რამდენი ხანია გდია მაგიდაზე.

უხმოდ გამოართვა კონვერტი, გახსნა და გულმოდგინედ ჩათვალიერა.

— ხედავ? — რამდენიმე ხნის შემდეგ წარმოთქვა — ბიძაჩემი იწერება, ვაუშვილს ვაქორწინებ, უთუოდ ჩამოდიო. აქვე იტყობინება, ერთ კვირაში ვივის გამოგზავნი, იქნებ სადმე მოაწყო.

— ბიძა? — გაუკვირდა ქეთვანს, — რომელი?  
— არ გახსოვს? ერთხელ ჩვენთან იყო, მგონი ათი წლის წინათ, დედარემის ბიძაშვილია!

— წარმოდგენა არა მაქვს, — მხრები აიყარა ქეთვანმა.

— მო, შენ მაშინ არ მყავდი ნათხოვნი.  
— შეიძლება.

ოთახში წარის ხმა გაისმა, ქეთვანი შეშფოთდა.  
— ის კაცი თუ არის, გუშინაც იყო. კარგა ხანს გელოდა. მერე წავიდა, მალე მოვალა.

კარი თვითონ გიორგიმ გააღო, მის წინ ღიმილით სახეგაბადრული კაკო იდგა. მასპინძელმა შემოიპატიო, სტუმარი თამამად შემოაქცია და რაღაც შეხვედრი, თითქოს შეუზრუნველად დადო სკამზე.

გიორგი რაღაც ცუდმა წინათგრძობამ შეიპყრო. შეხვედრის გადახედა.

— რა არის ეგ, კაკო?  
— იმდენი არაფერი, ჩემო გიორგი, სულითა და გულით მოძღვნილი, ხომ გაგიგონია, თუ ერთმანეთს ხელი არ გავუშარეთო... — და საცოდავად გაიღიმა.

გიორგის ფერმა გადაჰკრა, მოეჩვენა, რომ მთელი თბილისი უთვალთვალებდა მას ფანჯრებიდან და ძალზე ირონიულად იღიმიდოდნენ ზღვა სახეები.

ორიოდ ნახიჩი გადადგა კაკოსაკენ, მოჰკიდა ხელი და კარისაკენ წაიყვანა, მერე შეხვედრის ხელი დასტაცა, გარეთ გადაუგდო და მიამახა:

— შენი ფეხი აღარ დავინახო აქ, შე მაწანწალავ, შენა!

კაკომ ერთი სართული რომ ჩაიარა, მაშინ-და ამოიხედა და დაბრწყვებული კაცის ხმით ამოსძახა:

— აგერ არა, აგერ მიხიდი სიკეთეს, შე უნამუსო!

\*\*\*

მეორე დღეს კაკო და მაყვალა პრესბიტერ შეხვდნენ ერთი-მეორეს.

— როგორ არის ბავშვის საქმე, გიშველა რამე გიორგიმ?

— ისე ღმერთი უშველის იმის ოჯახს. გადიდაც კაცებულა, ლაპარაკსაც აღარ კადრულობს, წარმოიდგინე, თავის სახლიდან გამოგადგო.

— ღმერთო ჩემო, — შემოიკრა მაყვალამ სახეზე ხელი, — ერთად გავიწარდნით და ებე, ტყუილად კი არ ამბობენ, უნახავმა რა ნახაო...

— ებ, რას იზამ, ასეთი ყოფილა ეს ქვეყანა! — ჯავრიანად ჩაიქინა ხელი კაკომ.



ლია ასათიანი

მზესუმზირა

მზესუმზირა მზეს უმზერს და ნაბაზს დიდრონ ჭროლა თვალეებს. — მზესუმზირა, გაკანკალეხ?

მაგრამ მოვარდა მტდრი არჩალი. ციხის ქონგურებს ავარდა ალი, ავიდეთ ფარი, შუბი, ხანჯალი, წილზე შევირტყით ხალიხის ხმალი.

გზას გვინათებდა ცხრა მზის მანდილი და სიყვარული მშობელი მიწის, დედის დალოცვა, ხელი აწვდილი, მამის ჭაღარა და წმინდა ფიცო.

ბინდი დაცა მზისფერ მანდილებს, ციხის დულაბში ძვლები ჩავკირეთ. ცხრა პატარძალი, ცხრა მზის ნათელი, ჩამოღნა, როგორც თაფლის ხანთელი.

ცამ ცხრაათასჯერ გადაიქუხა და გადმოშალა საავდრო ნისლი, კვლავ გაიწარდა ქართლში ცხრა მუხა, შეწყდა ცრემლები, კვნესა და სისხლი.

ქართლში ვინ მოგლექს მუხას რტომრავალს, ის ბურჯად უდგას ქართლის მომავალს.

ჩვენ ამ მიწაში ძვლები ჩავყარეთ, იქ, სადაც არის თქვენი საყანე!

ხაპი პოლქაქი

მშობლურო, ტკვილო, მოწყალევი..

გაიხსნა ფარდა ვარდების და დგახარ მზით შემკობილი. ...შენებრი მართ დაბადებით, ვინმცა უოფილა შობილი.

ცა გაგვიცოცხლე მზიანად, მიწა გვიქციე თილისმად. ...აწ ვაშად მოხველ, გვემა ნახვა შენისა პირისა.

ვარსკვლავთა — მიუწვდომელთა გვიწვევთ აწვდელი ხელითა, ...შენ ხარ სავსება უოველთა, აგვახვებ მზეებრ ფენითა.

შემოდმერთი და გამფვდი ქართულ ხმებში და სიტყვებში. ქვებში, ფერებში, გამებში, გრიგალგარეულ რიტმებში.

მსოფლიოს გაუმარადი ქართლის ცის ნაწი სინათლით. დიდებულ დაუნით განათი, გენიად გამზისმდინარდი.

გზემობენ და გლოცავენ კაცნი, მნათობნი, მთა-ველნი, მშობლურო, ტკვილო, მოწყალევი, ცავე, წყალობისა მთოველო!

მარადისობის ოქროდანი რვა საუკუნე მომქროდი, შენ საქართველო მოგქონდა, შენთან ამიტომ მოვგროვდი.

გვახვევ დიდების ნათელგარსს, უკვდავ ქართულ სულს თაოსნობ, არ უტხოვრია ქართველ კაცს წუთით უვეფინსტუაოსნოდ.

შენი ხანელი გვფარავდა, გვეფინებოდა, გათბობდა, სამყაროსავით მარადო, სინათლევ შედიდა მნათობისა.

რამდენი დამე უთენე მამულს, დაფნა-მზის მფენელო, ...ყოფილო, მყოფო, უთქმელო, ყურთაგან მოუსმენელო.

რვა საუკუნე გელოდა მამული, სიტყვაკვანო, — ქართველი ერის მცველო და უკვდავებაში წამყვანო!

ამირან ასობაქი

არც ისე აღრე

არც ისე აღრე, არც ისე გვიან, მოსკდა ფერების სიმრავლე ისევ და მზიან დღეებს, პატარა ია პატარა მხრებით ეწვეა მთისკენ.

უმისამართო დრუბელთა გროვა ცის დასალიერს მუშტივით მიწვა, დღეე მწვანეში გართხმულა ზოლად და მხატვრის თვალით იღიმის მიწა.

რაც შეიძლება, მძლავრად შლის მხარ-მკლავს. უსიყვარულოდ ვერა და ვერ ძლებს, ყველგან, ყველაფერს თავის ფრთებს გაპქრავს და ამდერებს სიცოცხლის ფერზე.

არც ისე აღრე, არც ისე გვიან, მოსკდა ფერების სიმრავლე ისევ, გაზაფხული და პატარა ია მზიან დღეებით დაძრულან მთისკენ.

ვწევარ, მამაღლებს სიცოცხლის მადლი, ვწევარ. მამაღლებს ამ მიწის სიბო, დამე კი ისე ჩქარობს და გარბის, — აიძულაო, ვილაცამ თითქოს.

მირონ სარგულაქი

ცხრა ძმა

ცხრა ძმა ვიყავით, არ გავიყარეთ, ვთეხეთ და ვფარცხეთ, ვაწი ჩავყარეთ, როცა პოპუნით მოვედეთ ყანებს, შინა და გარეთ ვეფხს დავმგვანეთ.

ვიყავით მეხრე, მეგუთნე, მწყემსი, ოჯახში ღზინი არ იღოდა, მშობელ მიწაში გავიდვით ფესვი, დავაგუფუნეთ „მზეო ლილეო!“

ცხრა ძმამ ცხრა მზესთან წილი ვიყარეთ, ცხრა მზე ოჯახში შემოვიყვანეთ...

მზე იყო შინ და მზე იყო გარეთ, ცხრა მზე ოჯახში შემოვიყვანეთ.

სიქვეარულო

ასპიზი

ამ ფეხს მოუჩქარა, ვაჟამაც — რას ამდენებია, — გაიფიქრა გაბრაზებულმა ლიანამ, — მოდის და მათვალისწინებს, თითქოს... თითქოს... ჯანდაბა! აზროვნების უნარიც დამე-კარგა.

არც არაფერს მეუბნება! ნეტავ, ვინ არის? ისე, სიმპატიური ბიჭი კია. იდგა ლიანა და მისი ქალური თავ-მოყვარეობა ზეიმობდა.

— არა, ნამდვილად კარგი ბიჭია, ეტყობა ქვეყანას ვურჩენივარ! როგორი მორცხვი ყოფილა! — ფიქრობდა ლიანა და ამ ფიქრში ვერც კი შენიშნა, რომ ვაჟი წამოეწია და გვერდით მიყვებოდა უკვე.

ხა, — მე თქვენ არც გიცნობთ, თქვენ კი ასე კატეგორიულად... მისი გული საამოდ ფეთქავდა და თითქოს ყველა დარტყმაზე იმეორებდა: — გაბედა! გაბედა!



# სსრკ კონსტრუქციის კონსტრუქცია

იყო ერთი უღამაზესი ქალი და ჩენტლმენები ქვეყნის ყველა კუთხიდან მოეშურებოდნენ მისკენ, მას ზახელად აფრიაკა ერქვა და ყველანი მისკენ მოისწრაფოდნენ, ქვიშიან უღამაზეში სწავლათ მათ შუე, ციებ-ციხლება გაჩენის დღეს აწყვევლინებდათ, გარბოდნენ ჩენტლმენები აქედან, მაგრამ ისევ ბრუნდებოდნენ, ამ ყველაზე ლამაზ ქალთან, ბრუნდებოდნენ საძარცვავად და სათაროვოდ, — ასე იწყებდა რედიარდ კიბლინგი თავის ლექსს „სამხრეთ აფრიკა“.

და მართლაც, დედამიწის არც ერთი კონტინენტი არ ურბევიათ ისე უღამაზად, როგორც აფრიკა. ჭერ კიდევ ძველ ფინიკელებს, ბერძენებსა და რომაელებს შემოჰქონდათ აქ ომისა და ავკაცობის ცეცხლი, მერე კი, ევროპის რომელი ქვეყანა იყო, რომ აქ არ გამოეგზავნა თავისი მზვერავები. ლენგის, ლეინგსტონის, სტენლის და ივენშის ექსპედიციებს უკან მოსდევდნენ დამპყრობელთა არმიები, რომლებმაც აფრიკა მონობისა და სიდუხჭირის მხარედ აქციეს. ინგლისელმა, ფრანგმა, იტალიელმა, ესპანელმა, პორტუგალიელმა და ბელგიელმა კონკვისტადორებმა ნაკუწ-ნაკუწად დაფლობეს და მიითვისეს აფრიკის მიწა-წყალი, მთელ კონტინენტს ჭედზე დაადგეს მძიმე უღელი, რომლის დამსხვრევა მან მხოლოდ ასეული წლების შემდეგ შეძლო.

მეორე მსოფლიო ომში პიტლერული გერმანიისა და მისი სატელიტების განადგურებამ და სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნამ საბოლოოდ გამოაღვიძა შავი აფრიკა; მისი მრავალი შვილი, სხვებთან ერთად, იღებდა მონაწილეობას ამ დიდ ბრძოლაში და სხვებთან ერთად იგემა გამარჯვების მანამდე უტუნობი სისარული. ამ ომის შემდეგ ევროპის ქვეყნებს აღარ ძალუძდათ თავიანთი კოლონიების ძველებურად მართვა; ეს კოლონიები ამ დროისათვის თოფის წამლით სავსე კასრებს უფრო მოაგონებდნენ ადამიანს, და ძველი ბატონები იძულებული ხდებოდნენ უკან დაეხიათ სოციალისტური ქვეყნებისა და მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის მხარდაჭერით წელში გამართული შავი კონტინენტის წინაშე.

აფრიკამ დალეწა მონობის ჩაქვი და ფართო, გოლიათური ნაბიჯით გამოვიდა თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და ცივილიზაციის სანუკვარ გზაზე.

ამჟამად აფრიკაში ოცდაცამეტი ქვეყანაა. აქედან დღეისათვის ოცდაშვიდმა უკვე მოიპოვა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების უფლება, თუმცა ეს მათ დაუქდათ მრავალი სახელოვანი მამულიშვილის სიცოცხლედ, უმარაგი სისხლისა და ცრემლის ფასად, საშინელი გაჭირვებისა და წლების მანძილზე არსებული ბრძოლისა და ვაჟკაცობის ფასად.

ახალმა ცხოვრებამ საშუალება დაიმკვიდრა ბევრი მათგანის მიწა-წყალზე, ზოგამ კი ჭერ კიდევ ფეხს იკიდებს და ლამობს პირველი გუბუნდავი ნაბიჯების გადადგმას. და ყოველ მათგანს, ისევე როგორც ადამიანებს, აქვს თავისი მოკლე ანექტური მონაცემები, რომლებშიც მშრალად, მაგრამ ნათლად არის ასახული მათი დღევანდელი მდგომარეობა და ხასიათი. აი ზოგიერთი მათგანი:

**ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა**, საფრანგეთის ყოფილი კოლონია, მდებარეობს აფრიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ტერიტორია 2.382 ათასი კვადრატული კილომეტრი, მოსახლეობა — 12.093.203 კაცი, უმთავრესად არაბები. დედაქალაქი ალჟირი (343 ათასი); შვიდი წლის გააფთრებული, სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის შემდეგ 1962 წელს მიიღო დამოუკიდებლობა და დაადგა განვითარების სოციალისტურ გზას. იგი ძირითადად აგრარული ქვეყანაა, რაც თითქმის ყველა ყოფილი კოლონიისათვის არის დამახასიათებელი. მოჰყავთ მარცვლეული კულტურები, ყურძენი, ხილი, ბოსტნეული, მაგრამ ამასთან სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ნავთობისა და ბუნებრივი გაზის უმდიდრესი საბადოების ათვისება, იზრდება რკინის, ტყვიის, ფერადი ლითონების, ქვანახშირის, ფოსფორიტებისა და სხვა წიაღისეულთა მოპოვება. ვითარდება მრეწველობა და სოფლის მეურნეობის მექანიზაცია. დღითიდღე იზრდება ხალხის მატერიალური და კულტურული დონე.

**არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა** (წინათ ეგვიპტე) მდებარეობს აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილსა და სინაის ნახევარკუნძულზე აზიაში. ტერიტორია — 991 ათასი კვადრატული კილომეტრი, მოსახლეობა — 30.054 ათასი კაცი, უმთავრესად არაბები. დედაქალაქი ქაირო (3.627 ათასი). ეგვიპტის დამოუკიდებლობა ფორმალურად გამოცხადებული იყო 1922 წელს. 1953 წელს რევოლუციის შედეგად აქ დამყარდა რესპუბლიკური წყობილება. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანოა — ეროვნული კრება, აღმასრულებელი ორგანო — მინისტრთა საბჭო. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა. რევოლუციის შემდეგ მის ეკონომიკაში მნიშვნელოვნად განვითარდა სახელმწიფო სექტორი. ნაციონალიზირებულია ექნა მთელი მძიმე და საშუალო მრეწველობა, საფარო ვაჭრობა, ბანკები, რკინიგზები, სავაჭრო და საწარმოო კომპანიები, სადაზღვევო კომპანიები, და ბოლოს, სუეცის არხი. სოფლის მეურნეობის მთავარი დარგი მიწათმოქმედებაა. მოჰყავთ ზორბალი, სიმინდი, ბრინჯი, ბამბა, შაქრის ლერწამი, მუხუნო და ა. შ. წარმოებს ნავთობის, ფოსფორიტების, მარგანცისა და რკინის მადნების მოპოვება. რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების გეგმების დიდი ადგილი ეთმობა ასუანის კაშხალს, რომელიც აქ საბჭოთა სავაჭრო დასმარებთა შენდება.

**გინეის რესპუბლიკა**, საფრანგეთის ყოფილი კოლონია, მდებარეობს აფრიკის დასავლეთ ნაწილში. ტერიტორია — 246 ათასი კვადრატული კილომეტრი, მოსახლეობა — 3.500 ათასი კაცი. დედაქალაქი კონაკრი (150 ათასი), ძირითადი ეროვნებები: ფულბე, მანდინგო, სუსუ. დამოუკიდებლობა მიიღო 1958 წლის აქტომბერში და დაადგა განვითარების სოციალისტურ გზას.

**რესპუბლიკა კონგო** (დედაქალაქი ბრაზავილი) საფრანგეთის ყოფილი კოლონია, მდებარეობს ცენტრალურ აფრიკაში, ტერიტორია — 342 ათასი კვადრატული კილომეტრი, მოსახლეობა — 946 ათასი კაცი. დამოუკიდებლობა მიიღო 1960 წლის აგვისტოში და დაადგა განვითარების სოციალისტურ გზას. აგრარული ქვეყანაა, მოსახლეობის 80 პროცენტი ეწევა მიწათმოქმედებას, 10 პროცენტი — მრეწველობაშია ჩაბმული. ქვეყნის წიაღისეულთა გამოკვლევა ეს-ეს არის დაიწყო. აღმოჩენილია ტყვიის, კალის, სპილენძის, კალიუმის, მარილების, ნავთობისა და გაზის მდიდარი საბადოები, ბრაზავილის აეროპორტი ერთ-ერთი უდიდესია მთელს აფრიკაში.

**დემოკრატიული რესპუბლიკა კონგო** (დედაქალაქი კინშასა), ბელგიის ყოფილი კოლონია. მდებარეობს ცენტრალურ აფრიკაში. ტერიტორია 2.345 ათასი კვადრატული კილომეტრი, მოსახლეობა — 15.627 ათასი კაცი, ხასიათდება დიდი ეთნოგრაფიული სიჭრელით. კონგოელთა უმრავლესობა ლაზარაკობს კილუბას, სუახილასა და ლინგალას ენაზე. სახელმწიფო ენა — ფრანგული. რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1960 წლის 30 ივნისს. მაგრამ წლების მანძილზე ამერიკელი და ბელგიელი კოლონისტების ზრციების მეშვეობით, რომლებიც ვერ შეუტოვდნენ აფრიკას ამ ერთ-ერთი უდიდესი ქვეყნის დაქარვებას, აქ მიმდინარეობდა სისხლისმღვრელი ბრძოლები. ამ ბრძოლების მსხვერპლი გახდა აფრიკის სახელოვანი შვილი, კონგოს პირველი პრემიერი პატრის ლუმუმბა. 1965 წლის გადართვების შედეგად ქვეყანას სათავეში მოექცა კონგოს ეროვნული არმიის მთავარსარდალი გენერალი მობუტუ-კონგო ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანაა.

თავისთავად ცხადია, ვერც ერთი ქვეყანა ვერ მიადრწევს სრულ დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს მანამდე, სანამ მისი ეკონომიკა უტხოვლთა სათარეშო ასპარეზია. აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოებს კარგად ესმით ეს უბრალო ჭეშმარიტება და ყოველ დონეს მიმართავენ ამ საძულველი ბორკილის თავიდან მოშორებისათვის. კონგოსა და კენიასთან ერთად, სხვა აფრიკული ქვეყნები, კერძოდ გაბონი, გამბია, კამერუნი, ლიბერია, ნიგერია, სუდანი, უგანდა, ჩადი დაიუფნებთ ისწრაფვიან უცხოელთა ეკონომიური მარწუხებიდან სრული განთავისუფლებისათვის.

მაგრამ აფრიკაში დღეს კიდევ არის ისეთი ქვეყნები, რომლებიც კვლავინდებურად გმინავენ უტხოვლთა მონობის უღელქვეშ, ესენი არიან პორტუგალიის კოლონიები ანგოლა და მოზამბიკი, ბრიტანეთის კოლონია როდესია, „ესპანეთის საპარა“, „საფრანგეთის სომალი“ და სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკა.

**ანგოლა** პორტუგალიის ყველაზე დიდი კოლონიაა, მდებარეობს აფრიკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ტერიტორია — 1.248 ათასი კვადრატული კილომეტრი, მოსახლეობა — 5.154 ათასი კაცი. მისი ოფიციალური სახელწოდებაა „პორტუგალიის „ზღვისიქითა პროვინცია“. მართავს გუბერნატორი. ანგოლის სუსტად განვითარებული ეკონომიკის საკვანძო პოზიციები უჭირავს პორტუგალიისა და ინგლისის კაპიტალს. ევროპული და ამერიკული კომპანიების ხელში მთელი სამთამადნო მრეწველობაც.

**მოზამბიკი** მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკაში. ტერიტორია — 783 ათასი კვადრატული კილომეტრი. მოსახლეობა — 6.956 ათასი კაცი. ესეც პორტუგალიის „ზღვისიქითა პროვინცია“. იგი განიცდის სასტიკ კოლონიურ ჩაგვრას ევროპული და ამერიკული მონოპოლიების მიერ, მაგრამ ამ მიწებზე მათი თარეშის დღეებიც უკვე დათვლილია. ანგოელი და მოზამბიკელი ხალხი იარაღით ხელში აღდგა დამპყრობთა წინააღმდეგ და საკუთარი სისხლის ფასად იბრძვის დამოუკიდებელი და ადამიანური ცხოვრებისათვის. ანგოლის ეროვნულ-განმათავისუფლებელმა არმიამ თავისი ქვეყნის ტერიტორიის თითქმის ნახევარი გაათავისუფლა საუკუნოვანი მონობისაგან, პატრიოტთა ბრძოლას მხარს უჭერს მთელი აფრიკა და მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ქვეყანა.

**სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხალხი** დღეს თავგანწირვით იბრძვის კოლონიურ-რასისტული რეჟიმის დასაშობად. ამ ქვეყანას 1.223.400 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია უჭირავს, მისი მოსახლეობა 17.867 ათას კაცს აღწევს. აქედან ორი ტესამედი აფრიკელები არიან, რომლებსთვისაც გამოყოფილია ქვეყნის მთელი ტერიტორიის... 12 პროცენტი. მოსახლეობის ერთ მესამედს ინგლისელები და „მეტისები“ წარმოადგენენ. თეთრკანიანი რასისტები მოსახლეობის სასტიკი ჩაგვრით, სისხლიანი ტერორითა და რეზერვაციების არაადამიანური რეჟიმით ინარჩუნებენ აქ ბატონობას. მაგრამ მიწა უკვე იწვის მათ ფეხქვეშაც, ტამბამების მძლავრი გუგუნის, მუწუყებელი შავი კონტინენტის თავისუფლების დიდი გაზაფხულისა, უკვე აღწევს მათ მდიდრულ სასახლებამდე.

წ. ცინცაძე



კონსტანტინე პავსოვსკი

გოგონებ და ველარ მომიგონია, ვინ მიაბო პირველად პარიზელი მენაგვის უან შამეტის ეს თავგანდასხვალი. შამეტი ოსტატ ხალხს ემსახურებოდა თავის უბანში, სახელმწიფოებს ჰგვიდა და ლუკმაპურს ამით შოულობდა.

შამეტი ცხოვრობდა ქალაქის განაპირას, ერთ ფარდალა ქოხში.

ერთ დროს უან შამეტსაც კაცური კაცი ერქვა. მექსიკაში რომ ომი ატყდა, მაშინ „პატარა ნაპოლეონის“ არმიის ჯარისკაცი იყო.

შამეტს ბედმა გაუღიმა, ვერა-კრუსში მძიმე რამ სენი შეეყარა, ციებ-ცხელებისნაირი. ავადმყოფ ჯარისკაცს, ჯერ რიგინად თოფის წამლის სუნიც რომ არა ჰქონდა ნაუნოსი, ხელდახეელ სამშობლოსაკენ უკრეს თავი. ლეგიონის მეთაურმა, რაკი საფრანგეთში მიმავალი კაცი ნახა, ისარგებლა ამ ამბით და თავისი რვა წლის გოგონა სიუზანაც თან გააყოლა.

მეთაური ქვრივი იყო და სხვა რა გზა ჰქონდა, სადაც წავიდოდა, გოგონაც თან დაჰყავდა. მაგრამ ახლა განშორება ამჟობინა და გადაწყვიტა თავის დასთან, რუანში გაეგზავნა შეილი. მექსიკის შავა მომავდენებელ დაღს ასვამდა ევროპიდან ჩასულ ბავშვებს. თანაც პარულ-დარულ პარტიზანულ ომში, ვინ იცის, რა ფაქტორებს გადაეყრებოდნენ.

შამეტი საფრანგეთის გზას რომ დაადგა, ატლანტიკის ოკეანე სივხის ალმურში იყო გახვეული. პატარა გოგო კრინტს არ სძრავდა. დღენიდავად ჩუმად იჯდა თავისთვის.

რაც შეეძლო, შამეტი ზრუნვას არ აკლებდა სიუზანას. მაგრამ ისიც იცოდა, რომ მართო ზრუნვა კი არა, ალერსიც უნდოდა პატარა გოგოს. მაგრამ რა ექნა, სააღერსო რა მოეგონა კოლონიური ლეგიონის ჯარისკაცს? რით გაერთო? ზარის თამაშით? თუ ტლანქი ყაზარმული სიმღერებით?

მაგრამ დიდხანს წაყრუება მაინც აღარ შეიძლებოდა. შამეტი სულ უფრო ხშირად ამჩნევდა, რომ გოგონა გაოგნებულ თვალებს მიაპყრობდა ხოლმე. მაშინ კი, როგორც იქნა, გაბედა ყოფილმა ჯარისკაცმა და თავისი ცხოვრების უთავბოლოდ მოყოლა დაიწყო, იქნებ ამით მაინც შეეცქიო საგონებელში ჩავარდნილი ბავშვი. ყველაფერს დაწვრილებით ჰყვებოდა. მოიგონა ლა-მანშის პირას შეფენილი მეთევზეთა პატარა სოფელი, იქაური ხვრიში ქვიშა და კამკამა გუბებები, ძველი სამლოცველო, სადაც გაზარდული ზარი ეკიდა, თავისი დედა, გულის წვით დაავადებულ მეზობლებს რომ კურნავდა.

ამ მოგონებაში შამეტი ვერაფერს პოულობდა სასაცილოს სიუზანას გასამხიარულებლად. მაგრამ პატარა გოგო მაინც ყურებდაცქვეტილი უსმენდა, ხან რას ჰქითხავდა, ხან რას, ყოველ წვრილმანს ჩაჰკირკიტებდა.

ერთხელ, ბინდბუნდად, ოქროს ვარდი წამოაგონდა. შამეტს კარგად აღარც ახსოვდა, თვითონ ნახა ეს გაშვებული, ოქროსგან გამოკ თილი ვარდი, მოხუცი მეთევზე ქალის ქოხში ჯვარცმის ქვეშ რომ ეკიდა, თუ ვინმემ უამბო ამ ვარდის ამბავი.

არა, ერთხელ აკი თავისი თვალით ნახა ეს ვარდი და ახლაც ახსოვს, როგორ კაშკაშებდა, თუმცა გარეთ მზე როდი იდგა, სრუტეს შავი ქარაშოტი დასტყდომოდა თავს. შამეტი თანდათან სულ უფრო ნათლად იგონებდა ამ კაშკაშს — დაბალ ჭერქვეშ რამდენიმე ჩახჩახა მნათობს.

სოფელში ყველას უკვირდა, ნეტავ დედაბერი ამ ძვირფას ნივთს რატომ არ ჰყიდისო. რომ გაეყიდნა, წამდვილად დიდ ფულს აიღებდა. ერთადერთი მხოლოდ შამეტის დედა იყო, ვინც ამბობდა, ოქროს ვარდის გაყიდვა დიდი ცოდვაა, იმიტომ რომ ეგ ვარდი დედაბერს გულის სწორმა „საბედნიეროდ“ აჩუქა, როცა ჯერ კიდევ ახტანა გოგო იყო და ოდიერწში სარდენის ფაბრიკაში მუშაობდა.

— ეგრეთა ოქროს ვარდი ცოტაა დუნიაზე, — იტყვოდა ხოლმე შამეტის დედა, — მაგრამ, ვინაც ეგა აქვს, უეჭველად ბედნიერი იქნება ცხოვრებაში.



კონსტანტინე პავსოვსკი

ქონაც არ გინდა, მართო ხელითაც რომ შეეხო, მაინც ბედნიერი იქნები.

ბიჭს ერთი სული ჰქონდა, დედაბერი ბედნიერი როდის გახდებოდა, მაგრამ არავითარ ბედნიერებას არ უჩანდა პირი. დედაბრის ქოხს ქარი წასაქცევად ეშუქებოდა, საღამოობით კი, შუქი რომ შუქია, ისიც სანატრილი ჰქონდა საცოდავს.

ისე წამოვიდა შამეტი სოფლიდან, რომ დედაბრის ბედ-ილაღს რაიმე სიეთის ნიშანწყალიც არ დასტყობია. უკვე წელიწადი იყო გასული, რომ ერთმა ნაცნობმა, საფოსტო გემის ცეცხლფარეშმა უამბო, დედაბერს მოულოდნელად პარიზიდან მხატვარი შეილი ჩამოუვიდა, მხიარული ვინმე იყო, წვერი უცნაურად დაეყენებინაო. წასაქცევად გადასწეილ ქოხს ხელად იერი უცვლია, ურიაშულითა და დოვლათით ავსებულა. მხატვრებს, როგორც ამბობენ, თავიანთი ნახატები თურმე დიდძალ ფულად უსაღებიათ.

ერთხელ, შამეტი თავისი რკინის სავარცხლით ქარისაგან აწეწილ თმას რომ ვარცხნიდა, პატარა გოგომ უცაბედად ჰკითხა:

— უან, მე მარუქებს ვინმე ოქროს ვარდს?

— რა იცი, — უპასუხა შამეტმა. — იქნებ შენმა ილაღმაც ჩამოიაროს, სუწი!

შამეტმა გოგონა რუანში ჩაიყვანა და ხელიდან ხელში ჩააბარა მალდ გაროზ დედაკაცს — სიუზანას მოხუც მამიდას. დედაბერს შავი მინის მძივი ჰქონდა, ერთიანად აჩონჩხილი, იტყუდი, ცირკის გველიაო, იმნაირად ბზინავდა.

მამიდას თვალი მოჰკრა თუ არა, გოგონა შამეტის გახუნებულ ფარაჯას აეკრა.

— არა უშავს რა! — ჩურჩულით უთხრა შამეტმა და სიუზანას ხელი წაჰკრა მხარში, — რას იწამ, ასეულის მეთაურებს არც ჩვენ გვარჩევინებენ, რიგით ჯარისკაცებს. მოითმინე სული, ჯარისკაცის შეილო!

შამეტი წავიდა. რამდენჯერმე უკან მიიხედა, თვა-

ლი შეავლო მოწყენილი სახლის ფანჯრებს. არა, ფარდებს ოდნავაც არ არხევდა ქარი. შამეტი ნელა მიხვევბოდა ვიწრო ქუჩებს და დუქნებიდან გაბმული წიწვიის ხმა ესმოდა საათებისა. ძველი ჯარისკაცული აბგიტ მიჰქონდა სუწის სახსოვარი — ციხფერი დაქმუნული მავთა, ლმერთმა უწყის, რატომ, მაგრამ ამ ბავთას ისეთი ნაწი სურნელი ეფრქვია, გეგონება ძალიან დიდხანს იებთან კალათაში იდოო.

მექსიკურმა ციებ-ცხელებამ ჯანი გაუნახევრა შამეტს. ჯარიდან ისე გამოისტუმრეს, რომ სერუანტის ჩინიც არ აღირსეს. სამოქალაქო ცხოვრებას კვლავ ჩვეულებრივ რიგით ადამიანად დაუბრუნდა.

წელიწადი წელიწადს მისდევდა, სილატაკეს კი დასასრული არ უჩანდა. შამეტმა ათას რამ საქმეს მოჰკიდა ხელი და ბოლოს მაინც პარიზელი მენაგვი გახდა. იმ დღიდან მტვრისა და ჭურჭლის ნარეცხის სუნი ვეღარ მოიშორა. ამ სუნს გრძნობდა სენას მხრიდან მოსაქრულ ნიავშიც და იმ ყვავილებშიც, სუფთად ჩაცმულ დედაბრებს ქუჩა-ქუჩა რომ დაჰქონდათ ვასაყიდად.

სად არის ახლა სიუზანა? როგორ არის ნეტავი? შამეტმა იცოდა, რომ იგი უკვე ქალიშვილი იყო, მამამისი კი ჭრილობებმა გადაიყოფეს.

პარიზელი მენაგვი სულ ამირებდა, წავალ რუანში, სიუზანას ვნახავო. მაგრამ რამდენჯერაც დააპირა, იმდენჯერ გადადო წასვლა, გადადებული

საქმე კი, როგორც ნათქვამია, ეშმაკისაა. ბოლოს მიხვდა, რომ წასვლა აღარ ღირდა, იმდენი დროა გასული, სიუზანას ალბათ აღარც ვახსოვარო.

ცნობილია, რომ მენაგვენი ღამით მუშაობენ, ამ ამბავს თავისი ორი მიზევი აქვს: ადამიანის მჩქეფარე და არა ყოფილთვის სხსარგებლო საქმიანობისაგან ყველაზე მეტი ნაგავი დღის ბოლოსათვის გროვდება და, გარდა ამისა, არ შეიძლება შეურაცხყო პარიზელთა თვალი და უნარი ყნოსვისა. ღამით კი მართო ვირთაგვები თუ ამჩნევენ, რა ფაციფუცში არიან მენაგვენი.

შამეტი შეეჩვია ღამით მუშაობას და, ცოტა არ იყოს, შეუყვარდა კიდევ. განსაკუთრებით შეეტრფოდა იმ წუთებს, როცა პარიზი რიერაში გაეხვეოდა ხოლმე. ამ დროს სენას ბოლივით ეფინებოდა ნისლი, მაგრამ ხიდეების მოაჭირებს მაინც ვერ ჰფარავდა. იქამდე ვეღარ აღწევდა.

ერთხელ, სწორედ ნისლიანი განთიადის უამს, ხეიბართა ხიდეზე მიმავალმა შამეტმა თვალი მოჰკრა ახლგაზრდა ქალს, რომელსაც შამეტმა მინანი ბაცი იასამნისფერი კაბა ეცვა. ქალი ხიდის მოაჭირთან იდგა და სენას გადასცქეროდა.

შამეტი შეჩერდა, მტვრისი ქული მოიშვილია და უთხრა:

— ქალბატონო, სენა ამ დროს ძალზე ცივია. მოდი, სახლამდე მიგაცილებ.

— სახლი აღარა მაქვს, — სწრაფად უპასუხა ქალმა და შამეტსკენ მიბრუნდა.

შამეტს ქული ხელიდან გაუვარდა.

— სუწი! — შესძახა მან განცქიფრებულმა. — სუწი, ჯარისკაცის შეილო! ჩემო პატარა გოგო! როგორც იქნა შეგხვდი. შენ ალბათ აღარც ვახსოვარ. მე უან ერნესტ შამეტი ვარ, ოცდამეშვიდე კოლონიური ლეგიონის ის ჯარისკაცი, რუანში იმ ალქაქ მამიდაშენთან რომ ჩაიყვანეს! ვაო, როგორ ვალამაშებულხარ! თმა რა კობტად დაგივარცხნია!

— უან! — შეპყვირა ქალმა, მივარდა შამეტს,

ყელზე შემოქცეო და აქვითინდა. — ჟან, შენ ისეთივე კეთილი ხარ, როგორც მაშინ იყავი. არა, არაფერი არ დამვიწყებია!

— ემ, ამ სიკეთიდანაც არაფერი არ გამოდის! — წაიდუღუნა შამეტმა, — რა იყო, რა მოგივიდა, ჩემო პატარა გოგონი?

შამეტმა გულში ჩაიკრა სიუზანა და რაც აღერუანში ვერ ქნა, ახლავდა მოახერხა, — თავზე ხელი გადაუსვა და მბზინავ თმაზე ემთხვია. კოცნა და გვერდზე გაწევა ერთი იყო — ვაი თუ სიუზანა ჩემი ჭუბის სუნმა შეაწუხოსო, მაგრამ სიუზანა კიდევ უფრო მაგრად მიეკრა შეკრდზე.

— რა იყო, გოგონი! — დაბნეულად გაიმეორა შამეტმა.

სიუზანას ხმა არ ამოუღია. სული ყელში ებჯინებოდა. შამეტის მიხვდა: არა, ჭერ არა ღირს რაიმეს კითხვაო.

— ბუნავი, — მოჩქარესავით თქვა შამეტმა — ძველი ნაცხარი რომ არის, იქა მაქვს. ცოტა შორს კია აქედან. შინ, ცხადია, არაფერი მიდგას — ჩემი ავლა-დიდება თავს ავიდიდება. მაგრამ, სამაგიეროდ, წყლის გათბობაც შეიძლება იქ და ლოგინში დამინებაც. დაიბან, ცოტას დაიხვეწებ. ცხოვრებით კი, რამდენიც ვინდა იცხოვრე.

სიუზანამ ხუთი დღე იცხოვრა შამეტის ბუნავში. ამ ხუთ დღეს უებრო მზე დაჰნათოდა პარიზს. ყველაფერი ძვირფასი თვალისათვის ბრწყინავდა — ახალიც და ძველიც, ჭვარტლიანი შენობებიც, ბაღებიც და შამეტის ის ფარალალა ბუნავიც.

როგორც შამეტის ფიქრობდა, სწორედ ისე დატრიალებულიყო სიუზანას ბედი. ერთ ჭაბუკ მსახიობს გადაჰყროდა. გულის სწორად გაეხადა, მაგრამ მალე ეგგმნა დალატის სიმწარე. თუმცა ის ხუთი დღე, სიუზანამ შამეტთან რომ გაატარა, საკმარისი აღმოჩნდა შესარჩევად.

სიუზანას წერილი თვითონ შამეტმა წაუღო მსახიობს და, ცოტა არ იყოს, ჭკუაც ახწავლა იმ კობტაპრუწა დარდმანდს, როცა მან გასამრჩელოდ ორიოდ სუ შეაძლია.

მალე მსახიობი ეტლით მოვიდა სიუზანას წასაყვანად. ყველაფერი ისე იყო, როგორც წესი და რიგია: თაიგული, ხვეწა-კოცნა, ცრემლნარევი სიცილი, მონანიება და ოდნავ ბზარშეპარული უზრუნველობა.

წახვლისას სიჩქარეში გამოშვებობებაც კი დაავიწყდა სიუზანას. ეტლში რომ ახტა, მაშინდა მოაგონდა, გაწითლდა და დამნაშავესავით გაუწოდა შამეტს ხელი.

— რასან შენი გემოვნებით აირჩიე ცხოვრება, — მიაძახა შამეტმა, — იყავი და იხარე!

— რა ვიცი, რა იქნება, — უპასუხა სიუზანამ, და თვალბუბო ცრემლი აუკაფდა.

— ტყუილად დეღავ, ჩემო პაწაწავ, — უკმაყოფილოდ თქვა ახალგაზრდა მსახიობმა და გაიმეორა: — ჩემო თვალუფუნა პაწაწავ!

— აი ოქროს ვარდს რომ ვინმე მაჩუქებდეს! — ამოიხარა სიუზანამ. — ჩემს ბედს აღზათ ძაღლი აღარ დაჰყვდა. შენი მონაყოლი ყველაფერი მახსოვს, ჟან!

— რა იცი! — უპასუხა შამეტმა. — მაგრამ ეგ ვუბატონი მაინც არ მოგიტანს იმ ოქროს ვარდს. რა ვქნა, პირში ვიცი ლაპარაკი, ჭარბსკაცი ვარ. არ მიყვარს ტინფრატუნა ხალხი.

ახალგაზრდებმა ერთმანეთს გადახედეს. მსახიობმა მხრები აიჩიქა. ეტლი დაიძრა.

მთელი დღის დაგრავილ ნავაგს, სახელოსნობიდან გამოგვიღს, შამეტის ჩვეულებრივ საღამოთი

გადაჰყრიდა ხოლმე. მაგრამ სიუზანასთან ამ ლაპარაკის შემდეგ ოქრომჭედელთა სახელოსნობიდან გამოგვიღი მტვერი აღარ გადაუყრია. ის კი არა, ჩუმად ტოპარაში აგროვებდა და შინ მიჰქონდა. ტინი შეუქანდა საცოდავსო, ტუტუნებდნენ მეზობლები. ცოტა ვინმე თუ იცოდა, რომ ამ მტვერში, მართალია, მცირეოდენი, მაგრამ მაინც ერია ოქროს ნაქლიბი.

შამეტს ახლა ერთი ფიქრი ჰქონდა — გაენიავებინა ეს ოქრონარევი მტვერი, ოქრო პატარა ზოლად ჩამოესხა და ამ ზოლისაგან სიუზანას ბედნიერებისათვის პაწაწინა ოქროს ვარდი გამოეკვრა. ამ ვარდმა, როგორც დედა ეტყოდა ხოლმე, შეიძლება ბევრი სხვა უიღბლოც სწიოს ბედს. ვინ იცის! არა, ვიდრე ვარდს არ მივუტან, გადაწყვიტა შამეტმა, სიუზანას თვალთ არ დავეჩხვებო.

შამეტის კრინტს არსად არა სძრავდა, თავის საფიქრალს არავის უმხელდა. ხელისუფალთა და პოლიციის შიში ჰქონდა. რა იცი, რა მოუვით თავში, შარინი ხალხია. თუ მოინდომეს, ხელად ჭურღად გამოაცხადებენ, ციხეშიც ჩასვამენ და ოქროსაც წაართმევენ. მტვერში ურევია თუ ოხრობაში, მაინც სხვისი ოქროა.

შამეტმა პატარა სანიავებელი მოაწყო და ღამღამობით ეზოში ანიავებდა ოქრონარევი მტვერს. გული გულის ადგოლას ვერ გაიჩერა, სანამ ღარში ოქროსფრად მობრჭყვიალე ფხვნილს არ მოჰკრა თვალი.

კარგა ხანი გავიდა, ვიდრე იმდენ ოქროს ნაქლიბს მოუყრიდა თავს, რომ ზოლად ჩამოესხა. მაგრამ შამეტის არ ჩქარობდა ოქრომჭედლისათვის ზოდის მიტანას, რამ ოქროს ვარდი გამოეკვრებინა.

არა, უფულომა არ აფერხებდა — რომელიც ვინდა ოქრომჭედელი თანახმა იქნებოდა, რომ ხელობაში ზოდის შესამედი აეღო.

შამეტს სხვა საფიქრალი ჰქონდა. ყოველი დღე სულ უფრო აახლოებდა სიუზანასთან შეხვედრის საათს. მაგრამ უკვე რამდენიმე ხანი იყო შამეტს შიში დასჩემდა, როცა ამ შეხვედრის საათზე ფიქრობდა.

მთელი სინაზე, რაც ჭერ კიდევ კარგა ხნის წინათ ჩაებრუნებია თავის დაღლილ გულში, მხოლოდ იმ ერთისთვის, მხოლოდ სუზანათვის უნდოდა. მაგრამ განა სჭირდება ვინმეს ცხოვრებისაგან ქანც-გაწყვეტილი გონჯის სინაზე! შამეტის ყველას კარგად ატყობდა, რომ გაურბოდნენ. ან ვის ესაიამოვნებოდა გაძვალტყავებული ნაცრისფერი სახისა და საცოდავად დაჭყტილი თვალბუბის დღენიდავც ცქერა.

როცა ვარდი უკვე გამოაკვრინა, შამეტმა გაიგო, რომ სიუზანას პარიზი მიეტოვებინა და ამერიკაში გადასახლებულიყო — და, როგორც ლაპარაკობდნენ, თურმე სამუდამოდ. გაიკითხ-გამოიკითხა, მაგრამ მისამართი ვერავინ უთხრა.

პირველად თითქოს შვებაც კი იგრძნო. მაგრამ მერე სიუზანასთან ნანატრი შეხვედრის მთელი ის მოლოდინი უცაბედად რკინის უანგიან ნატებად ექცა. ეს ეკლიანი ნატები გულის კოვზთან დააღვა და შამეტის ხელაპყრობით შეეფერა ღმერთს, ბარემ ბოლო მოშიდო, სამუდამოდ გამიჩერე ეს დაბებრეკებული გულიო.

სახელოსნობებს აღარა ჰგვიდა, თავი მიანება. რამდენიმე დღე კედლისაკენ პირშეცეული იწვა თავის ფარალალა ქოხში. ხმას არ იღებდა და მხოლოდ ერთხელ გაიღმა, როცა თვალბუბე თავისი ძველი ჭუბის სახელო მიიფარა. მაგრამ ეს არავის არ დაუნახავს. მეზობლები მოსანახულებლადაც არ შედიოდნენ — ყველას თავისი საზრუნავი ჰყოფნიდა.

ერთადერთი კაცი, ვისაც თვალუფერი ეჭირა, ის ხნიერი ოქრომჭედელი იყო, ზოდისაგან სიფრთხილად ვარდი და ამ ვარდთან ერთად ყლორტზე პაწაწინა კოკორი რომ გამოეკვრა.

ოქრომჭედელი ნახვას არ აკლებდა, მაგრამ წამალი არ მოჰქონდა — მაინც აღარაფერი ეშველებოდა საცოდავსო.

ერთხელ, მართლაც, ხელში შემოაკვდა ოქრომჭედელს შამეტი. ჭავარჩმა თავი აუწია მენავგეს, ბალოშვეშოდან ცისფერ დაჭმუჭნილ ბაფთაში გახვეული ოქროს ვარდი გამოიღო, ჭრიალა კარი გაიხსურა და წავიდა.

გვიანი შემოდგომა იდგა. საღამოს მწუხრს ქარი და მოციმციმე ჩირაღდნები არხევდნენ. ოქრომჭედელს მოაგონდა, როგორ შეეცვალა სახე სიკვდილის შემდეგ შამეტს. მკაცრი და თანაც მშვიდი იერი დედო ოქრომჭედელს ამ სახის ნაღველი თითქოს მშვენიერიც კი ეჩვენა.

„რასაც სიცოცხლე არ გაღირსებს, სიკვდილს მოაქვს“, — გაიფიქრა ოქრომჭედელმა და ამოიხარა.

მალე მან ოქროს ვარდი ერთ ბელეუაფურად ჩაცმულ ხნიერ ლიტერატორს მიჰყიდა, ოქრომჭედლის აზრით, არც თუ ისე მდიდარს, რომ ესოდენ ძვირფასი ნივთის შეძენა შესძლებოდა.

ეტყობა ლიტერატორი უფრო ოქროს ვარდის თავგადასავალმა მოხიბლა, ოქრომჭედელმა რომ მოუთხრო.

აი ამ ძველი ლიტერატორის ჩანაწერებს უნდა ვუმალოდეთ, რომ ზოგაერთისთვის ცნობილი გახდა 27-ე კოლონიური ლეგიონის ყოფილი ჯარისკაცის ჟან ერნესტ შამეტის ცხოვრების ეს მწარე ამბავი.

იმ თავის რვეულში ძველი ლიტერატორი, სხვათა შორის, წერდა:


„ყოველი წუთი, ყოველი უცაბედი სიტყვა თუ მზერა, ყოველი ღრმა ან სახუმარო აზრი, ადამიანის გულის ყოველი შეუმჩნეველი მოძრაობა, ისევე როგორც ალფისის ყვავილის ნაფერთალი ან ღამით გუბეში არეკილი შუქი ვარსკვლავისა, — მტვერია ოქროსი.“

ჩვენ, ლიტერატორები, მისხალ-მისხალ ვუყრით თავს ამ მტვერს, წლიდან წლამდე ვაგროვებთ ჩვენდა შეუმჩნეველად, ზოლად ვაქცევთ და მერე ამ ზოდისაგან გამოკვვრავთ ხოლმე ჩვენს „ოქროს ვარდს“ — მოთხრობას, რომანს ან პოემას.


შამეტის ოქროს ვარდი ის ზოგჯერ ჩვენი შემოქმედებითი მოღვაწეობის პირველსაზე მგონია. საკვირველია, რომ თავი არავის არ შეუწუხებია გაედევნებინა თვალი, როგორ იბადება ამ ძვირფასი ნამცვეტებისაგან ლიტერატურის ცხოველყოფილი ნაკადი.

მაგრამ ისევე, როგორც ძველი მენავგის ვარდი სიუზანას ბედნიერებას განეკუთვნებოდა, ჩვენი შემოქმედებაც იმისათვის არის განკუთვნილი, რომ დღეამიწის სიღამაზე, ბედნიერების, სიხარულისა და თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ მოწოდება, ადამიანის გულის სიკეთე და გონების ძალა თავს არ აჯახინებდნენ სიბნელეს და ჩაუვალ მზენავით კაშკაშებდნენ.“

თარგმანი გურამ გოგიაშვილისა



# ჯეიზ ნაიანი



რედაქციის წევრები შემოვიდა. მე მას სახით არ ვიციხობდი და ამიტომ, როცა კარში გამოჩნდა, აღვარდინე არ დავეძრულვარ. მერე, როცა ამხანაგმა ხელი გამკრა და მითხრა — ეს წავიხე ბეი არისო, კი არ წამოვდექი, წამოვხტი, რადგან სიტყვა წავიხე ბეი ძალიან ბევრს ნიშნავდა. კაცი მილიონერია, 20-30 მილიონზე მეტი ქონება აქვს, თანაც ჩვენი შეფია. მოდი და ნუ წამოუღებები ფეხზე.

— დასხედით! — იყვირა მან.  
რედაქციაში ცხრა კაცი ვიყავით, ყველა დაჭაღა, შევექი ეფენდის გარდა. იგი ჩვენი რედაქციის გამგე გახლავთ.

— განაგრძეთ მუშაობა, შენ რაღას უღებხარ ფეხზე. აბა, ყველამ საქმეს მიხედოს. ფეხზე დგომით რას მიკეთებ... ეს ხომ მლიქვნელობას ჭეხვს და მე კი ძალიან არ მიყვარს ასეთი რამეები.

— სიამოვნებით, ბატონო, სიამოვნებით... დავსხედით, მაშინვე შერადიჩი ბრძანება, ბატონო. — ბუტბუტებდა შევექი, მაგრამ მაინც ფეხზე იდგა. მართო ასე რომ მდგარიყო, კიდევ არაფერი, ამას მოითმენდა კაცი, მაგრამ ხელები ერთმანეთზე გადაეჭვარებოდა და თითებზე კოსტუმის ღივს აწვავდებოდა.

ჩემთვის ყველაფერი ცხადი გახდა. წავიხე ბეი მილიონერი გახლავთ და მას არ უყვარს, როცა ამის გამო მის წინაშე მლიქვნელობას იწყებენ. აფერუმ, ვაუკაცი!

მე დაუინებო შევეყურებ მოწინებით მდგარ შევექი ეფენდის, მაგრამ იგი თითქოს ვერაფერს ხედავს და გაუთავებლად ბუტბუტებს:

— დაიხ, ბატონო, დაიხ... ყველამ თავის საქმეს უნდა მიხედოს.

— დაჯექი, — ხმას აუწია წავიხე ბეიმ.  
— ამ წუთში, ეფენდი, ამ წუთში, — ჩაიბუტბუტა შევექიმ, მაგრამ კვლავ ზეზე იდგა.

ვაი, სიცხვილო კაცი პირდაპირ აგრძობონებს — „არ მიყვარს მლიქვნელობა“, ის კი მაინც აყუდებულია და აძახის: „დაიხ, ბატონო, დაიხ“. ჩემს გვერდით რომ იდგეს, კოსტუმის კალთაში ჩავტაცებული ხელს, შევანჯღრევდი და ჩავძახებდი:

— დაჯექი-მეთქი, კრტიონო!

ბოლოს წავიხე ბეი გაცხარდა:  
— დაჯდები თუ არა, ბოლოს და ბოლოს; ასეთი რამეები არ მიყვარს. დაჯე, საქმეს მიხედ!

— მართალს ბრძანებთ, ბატონო, რასაკვირველია. მართალი ხართ, ამ წუთშივე...

დაიხ, სწორედ ასე ამბობდა, მაგრამ მაინც არ ჯდებოდა.

მგონი, წავიხე ბეის ეჩქარებოდა კიდევ და წასვლა უნდოდა, ან რაღაც უნდოდა ეკითხა ჩვენთვის, მაგრამ მის წინ აყუდებული შევექის რომ უყურებდა, ბრაზი მოსდიოდა, ამიტომ ვერც მიდიოდა და ვერც ვერას გვეკითხებოდა.

— დაჯექი ძმაო, დაჯექი, ძალიან გთხოვ! — უთხრა ბოლოს წავიხე ბეიმ.

— როგორ გვეადრებათ, ბატონო, რად წუხდებით... როგორ შეიძლება თქვენს წინაშე მოწინააღმდეგე ვიდე ფეხზე?

წავიხე ბეიმ ველარ მოითმინა და გაიცინა. მაგრამ ეს იყო გაბრაზებული კაცის სიცხილდ.

— რა გქვიათ თქვენ, მგონი შევექი, არა?  
— დაიხ, ბატონო!

— შევექი ბეი, დაიხსომეთ, მე არ მიყვარს ასეთი ცერემონიები.

— როგორ იქნება, ბატონო, როგორ გვეადრებათ! — სიტყვა არ დამთავრებინა შევექიმ.

რაღაც ეშმაკი ჩამახლდა — წამოდექი, ერთიორი გაულაწუნე, მერე პანლური ამოარტყი და ადგილზე დანვიო. როცა აქ მოვედი, მაშინვე მითხრეს შევექი დიდი მლიქვნელიაო, მაგრამ არ მჭეროდა. ჯერ ხომ ერთი თვეც არ არის, რაც სამსახური დავიწყუ.

— დაჯდები თუ არა, ძმაო?  
— როგორ იქნება, ბატონო... როგორ შეიძლება სკამზე ვიჯდე, როცა თქვენი ბრწყინვალეობა ჩემს წინ დგას. დამრთეთ ნება ფეხზე ვიდე. მე არ ვილელები. ძალიან კარგად ვგრძობ თავს, — შევექი ისე ლაპარაკობდა, გვეგონებოდათ საცაა ატირებოდა.

როცა წავიხე ბეი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ შევექის დაჯდომას არაფერი ეშველებოდა, გაცხარდა, ზურგი შეაქცია და ჩვენ მოგვმართა:

— იცოდეთ, მე არ მიყვარს, კაცი კაცს ფეხზე შემეგება. როცა შემოვალ, არავინ არ წამოდგეს ფეხზე, ყველამ თავის საქმეს მიხედოს, — ესა სიტყვა და განრისხებული გავარდა გარეთ.

— დაიხ ბატონო... მაშ, რასაკვირველია, — თან მიადევნა შევექიმ.

— ეს რა საქაგელი ვინმე ყოფილა. ეს რა ვნახე-მეთქი, ვუთხარი ჩემს მეგობარს ქერიმს, როცა შუადღისას სასადილოდ წავედიო.

— ასეთ ქვევას დიდი ხანია გაუვიდა ყავლი. ამას აღმოსავლური სტილის მლიქვნელობას ეძახიან.

— როგორ, აქაც არის აღმოსავლური და დასავლური სტილი?

— ო, ნუ იტყვი... ევროპული მლიქვნელობაა, რაც არი. აღმოსავლური კი კარგა ხანია მოდიდან გამოვიდა. ისე კი, ჩვენი დარჩეს და, მლიქვნელობა ყოველ კაცს უყვარს. შენ ახლად მოსული ხარ და ჯერჯერობით ბევრი არაფერი იცი აქაურებისა. აი, მაგალითად, წავიხე ბეი, ის ყოველ წუთში გაიძახის, „არ მიყვარს ასე ფეხზე შემეგება რომ გაეგებოდა ხოლმე კაცსაო“, მაგრამ მას, ვინმე დასავლური ტიპის მლიქვნელი რომ შეხედეს, მაშინ ნახე რა იქნება. როცა კაცი მილიონერია, მას ვინმე უნდა ეფერებოდეს, უამისოდ არ შეიძლება. ეგ კი ხომ ხედავ, რა საცოდავი კაცია: აქვს მილიონები, ქონება, მამული, სასახლეები, ავტომობილები, შუავს ცოლი, საყვარლები, მაგრამ მაინც ბედნიერი არ არის, იმიტომ, რომ კარგი მლიქვნელი არა ჰყავს. როცა ის ამბობს: „ასეთი რამ არ მიყვარსო“, ეს ნიშნავს „როგორც მინდა, ისეთი მაამებელი ვერ მიაპოვიაო“. ძალიან მეცოდება, საბრალო. რა არის პირადი მლიქვნების დანიშნულება? უნდა აამონ და ასიამოვნონ შეგებს.

— შენ კარგად გესმის ეს მეციკიერება, ქერიმ?

— მესმის, — მიპასუხა მან, — ეს მართო მეციკიერება კი არ არის, არამედ ფილოსოფია... სულ მალე ნახავ რა ამბებიც დატრიალდება აქ.

დიდი ხანი არ გასულა ჩვენი საუბრის შემდეგ, რომ ამბები, რომელზედაც ქერიმი ლაპარაკობდა, დაიწყო: ჩემი ხელფასი ორას ორმოცდაათი ლირა იყო, ქერიმის ხელფასიც ამდენივე, რადგან ის ჩემზე მხოლოდ სამი თვით ადრე მოვიდა აქ. ჩვენი საუბრიდან ერთი კვირაც არ გასულა, რომ ქერიმის ხელფასი 800 ლირა გახდა. ვინც ორი-სამი წელი მუშაობდა და კვლავ 150 ლირას ღებულობდა, ბუზღუნე დაიწყეს, მაგრამ, მათ ვინ უგდებდა ყურს. ქერიმის ხელფასი მალე 400 ლირა გახდა. ჩვენი გამგის, შევექის ხელფასიც 400 ლირა იყო.

ასე რომ, სულ მალე, ქერიმი ჩვენი რედაქციის გამგედ დანიშნეს, ახლა ის ღებულობდა 500 ლირას. შევექი კი მისი მოადგილე გახდა. ქერიმი კვირასი ერთი-ორჯერ თუ შემოვიდოდა ხოლმე, მაგრამ არ გასულა დიდი ხანი და იგი სხვაგან გადაიყვანეს, მისი ხელფასი კი 750 ლირა გახდა.

რაც უფრო იზრდებოდა ქერიმის ხელფასი, მით უფრო ვშორდებოდი ჩვენ ერთმანეთს, ძველი მეგობრები მას უკვე ქერიმ ბეის ეძახდნენ. თვით შევექი კი, რომელიც წინათ მისი უფროსი იყო, ახლა დანახვისთანავე ფეხზე წამოუხტებოდა ხოლმე და ბატონობით ელაპარაკებოდა.

მერე გავიგეთ, რომ ქერიმ ბეი, უაზომ ბეისთან ერთად, საზღვარგარეთ წავიდა სამოგზაუროდ. მათი დაბრუნების შემდეგ შევეტყუეთ, რომ თვეში 2.000 ლირას ღებულობსო, მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ბოლოს მისმა ხელფასმა 5.000 ლირას მიაღწია, ისე კი, რა ფუნქციას ასრულებდა, კაცმა არ იცოდა, მგონი, წავიხე ბეის მდივნის, მოადგილის და ადვოკატის მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული.

როცა წავიხე ბეი სადმე წავიდა, მის საქმეებს ქერიმი აკეთებდა, ხოლო როცა ქერიმი არ იყო, მის საქმეებს წავიხე ბეი განაგებდა.

რა იყო ასეთი, რა მოხერხება, რა ტელანტი ჰქონდა ამ კაცს? ამბობდნენ, რომ მლიქვნელობის დასავლურ მეთოდებს იყენებო. მაინტერესებდა გამეგო რა იყო ეს, ბოლოს ესეც ვავიგე.

წავიხე ბეის ხუთი-ექვსი დაწესებულება მაინც ჰქონდა, მათ შორის, ჩვენი რედაქციაც. ერთხელ, გამოვიცხადეს, რომ მოეწყობა საწვიმო სადამო, მიმდევნილი ჩვენი ურუნალის ოცი წლისთავისადმი. პერიმეტიც დაგვირგვის. იმ დღის ერთ-ერთი დიდა სასტუმროს სასადილო დარბაზში გაიმართა ოთხმოცდაათი ბანკეტი.

და აი, სწორედ ამ ბანკეტზე ვავიგე, თუ რა იყო მლიქვნელობა დასავლური სტილით, და სად იყო ქერიმის წარმატებათა მიზეზები.

მაგიდის თავში იჯდა წავიხე ბეი, მის გვერდით ქერიმი, მეც იქვე, ქერიმის ხელმძღვანელს. ჩვენს შუა სულ სამი კაცი იჯდა. მე ძალიან მაინტერესებდა ქერიმის ამბავი და ცნობისმოყვარეობით ვუგდებდი ყურს, თუ რას ლაპარაკობდა, ან რას აკეთებდა იგი.

წავიხე ბეიმ ჰიქა აიღო ხელში და ღვინით შეავსო, უცებ ქერიმმა მის ჰიქას ხელი სტაცა.

— არ შეიძლება, — თქვა მან, — ხომ იცით, რომ არ შეიძლება, გაწყენთ.

— მხოლოდ ერთი ჰიქა, მეტი არა!

— გუბნებით არა-მეთქი. თუშე თქვენი საქმისა თქვენ იცით... დალიეთ, მაგრამ მერე მე არ დამემდურეთ. ხომ იცით, თქვენს გულს აწყენს.


წავიხე ბეიმ ჰიქა მაგიდაზე დადგა და თვითონ სავარძელში ჩაჭდა.

— ცხელია, ეს ფანჯარა გავაღოთ, — თქვა ცოტა ხნის შემდეგ წავიხე ბეიმ.

სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ ადგილიდან მყისვე წამოიჭრა აღმოსავლური სტილის მლიქვნელი შევექი, მან ოფიციატსაკ გაუსწრო და ფანჯარისაკენ გაემართა, თან გზადაგზა თავისთვის ბუტბუტებდა.

— ამ წუთში ბატონო, ამ წუთში.  
ამ დროს გაისმა ქერიმის შქეჰარე ხმა.

— ხელი უშვიო, არ გააღოთ ფანჯარა... აბა, რას, შვრებით წავიხე ბეი, ასე როგორ შეიძლება, —



მიუბრუნდა ჯაზიმ ბეის, — ეს ბავშვური საქციელია. თქვენ ოფლიანი ხართ.

— ღმერთმანი, არა ვარ ოფლიანი.

— როგორ თუ არა ხართ ოფლიანი. ეს თქვენზე უკეთ მე ვიცი.

ჯაზიმ ბეიმ ჰიქაში წყალი ჩაასხა.

— ააა... რას შვრებით, ბატონო, ჯაზიმ! ღვთის გულისხმავის... ხომ არ გავიყვით?

— რა იყო, ჰიქაში წყალი ჩავასხი.

— ალლაჰ, ალლაჰ, ასეთი რამ იქნება? როგორ გგონიათ, ახლა მე თქვენ წყალს დაგაღვივებთ? წყალი თუ გწყუროდათ, მე რატომ არ მითხარით, — და მერე ოფიციალტს გასძახა — გარსონ, სოლიანი წყალი მოგვიტანე!

რაც არ უნდა მოსურვებოდა ჯაზიმ ბეის, ჰერიმი არ ანებებდა. ჯაზიმ ბეიც ცხვარვივით მორჩილი იყო. ერთი ეს იყო, ხანდახან გათამამებული ბავშვივით ჰირვეულობდა.

— ერთ ჰიქას მაინც დავლევ, რა იქნება?

— არა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, ხომ ვითხარით... თქვენ სრულენითაც არ ფიქრობთ თქვენს ჯანმრთელობაზე, — ამასთანავე ჰერიმი სრულიად მოურიდებლად აკეთებდა იმას, რაც ერთი წუთის წინ აკრძალა. აკი წედან თქვა, ფანჯარა არ გააღოთ, ახლა კი, როცა ყველა გაოფლილი იყო, ჯაზიმ ბეის მიუბრუნდა და უთხრა:

— ცხელია. თქვენ დაგცხათ, შეწუხდით, არა?

— არა, არ ცხელია.

— მე ხომ ვიცი, რომ სიცხემ შეგაწუხათ, რატომ უარობთ, დაე, გააღონ ფანჯრები.

აღმოსავლური სტილის მლიქვნელმა შევქიმ უცებ დაუარა დანა-ჩანგალი და ფეთიანივით წამოვარდა.

— ამ წუთში, ეფენდი, ამ წუთში!

— ოო... რამდენჯერ მითქვამს, არ მიყვარს მლიქვნელობა-მეთქი, დაჭებით, ეფენდი. გარსონ, თქვენ გააღეთ ფანჯარა.

— სიამოვნებით ბატონო, სიამოვნებით ამ წუთში დაგვადებ... — შეიძლება ერთი სიგარა მოვწიო? — თხოვა ჯაზიმ ბეიმ ჰერიმს.

— ერთი ცალი შეიძლება, მეტი არა. ეს უკვე მეოთხეა დღეს.

თვალი და ყური იმათკენ მქონდა.

— რამდენჯერ მითქვამს თქვენთვის, ეს ყავისფერი სპორტული კოსტუმი ბანკეტზე არ ჩაიცვამთ. ენა დამეღალა ამდენი ლაპარაკით. ძალიან უგემოვნო ვინმე კი ხართ. საქმარისია ერთი წუთი მოგშორდეთ და იმას აკეთებთ, რაც თქვენ მოგესურვებოდა.

ეს მილიონერი, შექალაქებული კაცი ბავშვივით ასლუკუნდა.

— მაპატიეთ, დამავიწყდა.

— ღმერთმანი, ბავშვივით კაცია, ვერც წარმოიდგენთ ისეთი ბავშვია, — მიმართა ჰერიმი სუფრის წევრებს.

— ბოდიში, მაგრამ როგორ შეიძლება ასე ლაპარაკი უფროსზე, — წამოიკნავლა აღმოსავლური სტილის მლიქვნელმა.

— შენ ჩუმად იყავი, — იყვირა ჯაზიმ ბეიმ, — ღმერთო ჩემო, რა საოცარი მლიქვნელია, ჰერიმი ბეი რომ არა, ალბათ ავად გავხდებოდი და მოვკვდებოდა კიდევ.

ჰერიმი საათზე დაიხედა და თქვა:

— აბა წავიდეთ, შენი ძილის დრო მოვიდა.

— ცოტა ხანსაც ვიყო.

— არა... უკვე ათის ნახევარია, სანამ სახლში მივალთ, ათი საათი გახდება. ათ საათზე ლოგინში უნდა იყო.

წამოდგინენ. ჰერიმი ჰიქისაკენ გაიწოდა ხელი, მე მის ხელს წავეტანე და ვუთხარი:

— რას შვრებით, ღვთის გულისხმავის, როგორ იქნება უკვე ხუთი ჰიქა დალიეთ, თქვენ სრულენითაც არ ზრუნავთ თქვენს ჯანმრთელობაზე, გაუშვით ჰიქას ხელი!

— რა იქნება, ამასაც დავლევ. — შემევედრა ჰერიმი.

— ეს ერთი იყო, მეტი კი არ დანახოს ჩემმა თვალებმა.

ხელი ზურგზე დამაღო და გვერდზე გამიყვანა. — უოაჰ, შენც სწრაფად განახსვავე აღმოსავლური და ევროპული მლიქვნელობა ერთმანეთისაგან. ვინ იცის რამდენი რამ უნდა ვისწავლოთ კიდევ ევროპისაგან. ჩვენ ჯერ არ ვიცით წესიერი, კულტურული მლიქვნელობა. რამდენი გაქვს ხელფასი?

— ორას ორმოცდა ათი ლირა.

— ხვლიდან ხუთასი გექნება, შევქის ადგილს შენ დაიკავებ, ის კი შენი მოადგილე გახდება.

შევქიმ კარებთან მიიბრინა და გაუღო ჯაზიმ ბეის.

— ალაჰმა გაცოცხლოთ, ღმერთმა სიცოცხლე მოგცეთ, ამ საღამოს თქვენ გავგახარეთ თქვენი მობრძანებითო, — ბუტბუტებდა იგი.

— დაიკარგე აქედან, შე მლიქვნელო შენა! წადი, გამშორდი, არ დაგინახოს ჩემმა თვალებმა! — ვუყვირე შევქი ბეის.

თურქულიდან თარგმნა გურამ ბატირაშვილმა.

# ეკონომიკური პოლიტიკის საკითხები

ასტროლოგი, ეს არის ადამიანი, რომელიც მკითხავს და „წინასწარმეტყველებს“ პლანეტების საშუალებით. დააკვირდება პლანეტებს და გეტყვით — რა დაგეგმავთ ხვალ, ან საერთოდ მომავალში. ისინი ადგენენ ჰოროსკოპებს, ე. ი. ნახაზს, თუ როგორ არიან განლაგებული პლანეტები და ამით ადამიანი ვითომ შეიტყობს, თუ როგორია მისი ბედისწერა.

ასტროლოგიას არაფერი საერთო არა აქვს მეცნიერებასთან.

ასტროლოგიური მკითხვა-პასუხი იყო უძველესი დროიდან, მაგრამ მან ამ ბოლო წლებში მანძილზე განსაკუთრებით ფართო გავრცელება ჰპოვა დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში.

უინსტონ ჩიჩილს, ვიდრე ის ინგლისის პრემიერ-მინისტრი იყო, ასტროლოგი შტატში ჰყავდა და გვერდიდან არ იშორებდა.

ამერიკაში გამოდის ასტროლოგიური ჟურნალი „ჰოროსკოპი“ მისი

ტირაჟი 1962 წელს — ორი მილიონი იყო, ამჟამად კი — ოთხ მილიონს მიაღწია. ამას გარდა, ამერიკული გაზეთების, კერძოდ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნის“ ფურცლებზე ხშირად ჰქვეყნდება ჰოროსკოპები. ამერიკელი ასტროლოგი ედ ვანერი „ჰოროსკოპის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნავს, რომ „ასტროლოგიის სწავლება კვლავ უნდა შემოღებულ იქნას უნივერსიტეტებში, როგორც ადრე იყო“, ხოლო ზოგიერთები თხოულობენ, რათა თეთრ სახლს ჰყავდეს შტატით გათვალისწინებული ასტროლოგი.

ასტროლოგიიდან ცნობილია, რომ ყოველ ოც წელიწადში ერთხელ, მზის გარშემო ბრუნვის დროს, პლანეტები სატურნი (შუალი) და იუპიტერი (მუშთარი) ერთი-მეორეს უახლოვდებიან და მანძილი მათ შორის მცირდება. ასტროლოგები ჩაებლაუნიენ ამ ფაქტს და დაიწყეს მტყიცება, რომ ამ უკანასკნელი ასი წლის მანძილზე, ამერიკის ყოველი პრეზიდენტი, რო-

მელიც ამ პლანეტების დაახლოების წელს აირჩიეს, უდროოდ დაიღუპა. ექვსი პრეზიდენტიდან, რომლებიც არჩეულ იქნენ 1861 წელს (ლინკოლნი), 1881 წელს (გარფილდი), 1901 წელს (მაკინლი), 1921 წელს (გარდინგი), 1941 წელს (რუზველტი) და 1961 წელს (კენედი) — ამ ექვსი პრეზიდენტიდან ოთხი მოკვდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ან მოჭკლეს.

სინამდვილეში ეს, რა თქმა უნდა, უბრალო დამთხვევაა და, ცხადია, პრეზიდენტის მკვლელობას პლანეტებს ტყუილად აბრალებენ; ყველაფერს ის სჯობია, კენედის ნამდვილი მკვლეელი მოძებნონ.

ამერიკის გაზეთებში გამოქვეყნდა უკვლევ კენედის ჰოროსკოპი, რომელიც შეადგინა ასტროლოგმა ზოლტან მასონმა. ადამიანის პიროვნული თვისებები, განმარტავს ასტროლოგია, განისაზღვრება ზოდიაქოს ნიშნით, რომელიც ამოდიოდა აღმოსავლეთიდან მისი დაბადების დროს. უკვლევ კენედისათვის ეს იყო თურმე ღრიანკალის თანავარსკვლავედი. „ადამიანები, რომლებიც ზოდიაქოს ამ ნიშნის ქვეშ იბადებიან, — აღნიშნულია ჰოროსკოპში, — მუდამ თავიანთი გრძობების ერთგულნი რჩებიან. ღრიანკალი — ეს სიკვდილისა და სიცოცხლის ნიშანია. თუ ვილაპარაკებთ



კებო ქალბატონ კენედიზე, მისი ქმარი მისთვის ისევ ცოცხალია“. იმ პლანეტათა შორის, რომლებიც თურმე უკვლევის დაბადების დროს ბრწყინავდნენ ცაზე, იყო ურანიც, რომელიც მოახსენებს „მოულოდნელ და გაუთვალისწინებელ შემთხვევას“. ამ გადაკრულ სიტყვებში ჯონ კენედის ტრაგიკული სიკვდილი იგულისხმება, მაგრამ ასტროლოგს არც აქ დაეჭვება. ვინაიდან არავინ იცის როდის არის შედგენილი ჰოროსკოპი. რასაკვირველია, სამშობაოს ძალზე ადვილია „წინასწარმეტყველო“ უკვლავური ის, რაც წინა დღეს, ორშაბათს მოხდა.

აკაკი ბენერაძე

## შაჰ სულთან-ჰუსეინის ერთი პორტრეტის გამოც

ირანის მბრძანებლის, სულეიმან შაჰის (1606—1694) შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ერთ-ერთი მემკვიდრე სულთან-ჰუსეინი (1694—1722). იგი იყო ყოფილად უნიკო და უნებესყოფი მმართველი, რომელმაც პარამხანისა და საჭურისთა გარემოცვის გარდა არაფერი იცოდა. ახალი შაჰი უმთავრესად ყურანის გადაწერითა და საერთოდ სარწმუნოების დაცვით ყოფილა გართული, თავისი იმპერიის მოვლაზე ნაკლებ ზრუნავდა და ყველაფერში ენდობოდა პირველ ვეზირს ანუ „ეთიმადოფულეს“ (პრემიერ-მინისტრი) ფათალიხანს, რომელიც სუნიტი ლეკი იყო და რომელსაც ბოლოს დალატისათვის ორივე თვალი „დასთხარა“ (ს. ჩხეიძე, დ. გურამიშვილი).

ამ მმართველების საჩუქრებია და ფულით გულის მოსყიდვა ეწადა სულთან-საბა ორბელიანს; იგი სწორედ სულთან-ჰუსეინისა და მისი მექრთამე მოხელეებისაგან ქერმანში დაპატიმრებულ ვახტანგ VI-ის გამოსყიდვის მიზნით გაემგზავრა საფრანგეთსა და რომს.

პეტრე პირველის მიერ 1717 წელს ირანში ელჩად მივლინებული არტემ ვოლინსკი სულთან-ჰუსეინის შესახებ სწერდა:

«Здесь такая ныне глава, что он не над подданными, но у своих подданных подданный, и чаю редко такого дурачка можно сыскать и между простых, не токмо из коронованных»<sup>2</sup>.

სულთან-ჰუსეინის მმართველობა უკანასკნელი ფურცელია სეფევიდების იმპერიის ისტორიისა. 1722 წელს მან თავისი ხელით მოიხადა შაჰის გვირგვინი და გადასცა ავღანელთა სარდალ მირ-მუჰამედს, რომელიც ამ აქტის შემდეგ ზემოთ შევიდა ისპაჰანში.

სულთან-ჰუსეინის პიროვნებასა და მისი მმართველობის ხანის დახასიათებას ჩვენ საგანგებო გამოკვლევა მივუძღვენით, სადაც ვრცელადაა გაშუქებული სეფევიდების იმპერიის დამხობაში ვახტანგ VI როლიც.

აქ მოკლედ აღვნიშნავთ ერთ საგულისხმო მომენტს.

საერთოდ ქართულ მწერლობაში ირანოფილური ტენდენციები არა ჩანს. ცნობილია, რომ ისპაჰანის სამეფო კარზე გამაჰმადიანებული ქართველი მეფეები მხოლოდ ნომინალური მუსლიმანები იყვნენ. მაგრამ არსებობს ერთადერთი გამონაკლისი — ესაა დავით II კახთა მეფის (იმამყულიხანის) თხზულება „ღვთაების გუჯარი“ 1722 წლისა. ამ ძეგლში კახთა მეფე-ავტორი თავისთავს სულთან-ჰუსეინის მიერ „ძისაებ აღზრდილს“ უწოდებს. 4 ისპაჰანში გაზრდილმა და „ზნეთა საქართველოთა უმეცარმა“ ქართული „წიგნი და ენანი უწყოდა ორნივე წარჩინებულად“ (ვახუშტი, წ. ჭიჭ. გამ., გვ. 200), ხოლო აკად. კ. კეკელიძე წერს „ღვთაების გუჯარის“ შესახებ, რომ ის „გვიჩვენებს დავითის ღრმა მეცნიერულ ცოდნას: რელიგიურს, ფილოსოფიურს, საბუნებისმეტყველოს და ისტორიულს»<sup>5</sup>.

და აი ამ დავითს თავის თხზულებაში შეუტანია რამდენიმე ზოტბა თავისი აღმზრდელისადმი. რითმინი ლექსები, პროზად ჩაწერილი ტექსტში, აღადგინა კ. კეკელიძემ. 6 აქ მოვიტანთ ტექსტის მხოლოდ რამდენიმე დამახასიათებელ სტროფს (რიცხვით 7, 8 და 9):

მეფე მეფეთა უფალი, სამყარო დალიქისაო,  
ქვეყნის წამხმელი, მიმტევი, ბედნიერისა უმისაო,  
იცვა საუფლო ბეჭედი ნეკს, ცათა ფირუზისაო,  
მომკობილ პირი მიწისა, ქვე საბეჭედავის თვლისაო.

ცა განცვიფრებულ მისისა გვირგვინის კიმილისანი,  
სპათ სიმრავლესა გაჰკურდეს დღე იგი განკითხვისანი,  
მის კართა მტვერზე დაფრდომა, დაშობა, სმა შუბლისანი,  
თავსა მეტისა სიმადლით არს ზეაღუწვდენა შვისანი.

ვისცა უპურია მისისა მონობის ოლი ყურისა,  
ეგრე საუფლოდ მორთულ არს, რომელ მეფეთა სურისა,  
შეშვენის მთვარეს სამონოდ ლუმბთა ყორა საყურისა  
ვის ძალუმს შესსხმა საკადრი ზოტბისა ხელმწიფურისა?

(„ღვთ. გუჯარი“, გვ. 18).

დავითი შაჰს თვით როსტომს (რუსტემს) ანუ „შაჰამეს“ გოლიათ გმირს ადარებს (იხ. იქვე, გვ. 19, რიცხვით მე-10 ზოტბა-სტროფი). და ყველაფერი ეს თქმულია ზემოხსენებული თხზულების ავტორის მიერ თავის აღმზრდელზე, რომლის გონებრივი სისუსტე, სულმდაბლობა, სიმხდალე და სრული უმწირობა სახელმწიფო მმართველობაში, ყველა თანამედროვისათვის (თანამემამულეებისა და უცხოელებისათვის) — ცნობილი ფაქტი იყო.

როგორც აღვნიშნეთ, დავით II-ის ირანოფილური ზოტბანი ერთადერთი გამონაკლისია ქართული მწერლობის ისტორიაში. საერთოდ შესანიშნავი თხზულების საერთო ფონზე სულელი ყუენის ქება ისტორიული თვალსაზრისით ძალზე კომიკურად (მეტი რომ არა ვთქვათ!) გამოიყურება.

შენახულია თვით შაჰ სულთან-ჰუსეინის პორტრეტი, იგი შეტანილი აქვს თავის წიგნში იტალიელ მოგზაურს კარლო გემელი-კარერის (1651 — ?); ავ-



შაჰი  
ჰუსეინი

ტორი უშუალოდ დასწრება შაჰის ტახტზე ასვლის ცერემონიალს და აღუერთილი აქვს იგი თავის ექსტრომიან „მოგზაურობაში“<sup>7</sup>. ჩვენ აქ ვბეჭდავთ შაჰის სურათს აღნიშნული წიგნის II ტომიდან.

აქ მოიხსენიებული ხედვს იმ ხელმწიფის სახეს, რომელსაც 1697 წელს წარუდგა ქართლის მეფე გიორგი XI, ხოლო 1712 წელს ვახტანგ VI (სულთან-ჰუსეინმა იგი ქართლში დააბრუნა მხოლოდ 1719 წელს, „გამაჰმადიანების“ შემდეგ). ამ ყუენის კარზე დალია სული ცნობილმა რენეგატმა — ერეკლე I ნაზარალიხანმა, ხოლო მისი იმპერიის საზღვრების დაცვაში დაიღუპნენ ქართლის მეფეები გიორგი XI და ქაიხოსრო ყანდართან (ღღვეანდელ ავღანისტანში) 1709 და 1712 წლებში.

ამ შაჰისაგან ვახტანგ VI-ის დახსნას ემუდარებოდა დიდი სულთან-საბა ორბელიანი ლუი XIV-ის და რომის პაპს კლიმენტი XI-ის.

## შენიშვნები

1. იხ. ჩვენი „მასალა ვახტანგ VI ბიოგრაფიისათვის“ (რჩ. ნაწ. I, გვ. 467—509; განსაკ. იხ. გვ. 467—471).
  2. იქვე, გვ. 469.
  3. ღვთაების გუჯარი 1722 წლისა. ს. კაკაბაძის გამოც. წიგნი I. ტფ. 1918.
  4. იქვე, 20, შტრ. გვ. 21, 22. დავით II-ის (იმამყულიხანის) გამოსახულება მოყვანილი აქვს ა. ხახანაშვილს (იხ. Материалы по археологии Кавказа, 1899, вып. VII, стр. 89—92; სურათზე გამოსახული არიან აგრეთვე მამამისი ერეკლე I, ძმა კონსტანტინე და სხვ.).
  5. კ. კეკელიძე, მეფობამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან („ლიტ. ძიებანი“, 1958, ტ. VIII, გვ. 162, შტრ. მისი ეტიუდები... ტ. IV, 238—240). პირველი წერილები დავით II-ის მიუძღვნა მ. ჯანაშვილმა. იხ. მისი „მგოსანი მეფე იმამყულიხანი“ („თემი“, 1915, № 200) და „მგოსანი მეფე დავით და მისი დაი მაკრინე“ („საქართველო“, 1919, № 94—95).
  6. კ. კეკელიძე, დასახ. წერილი, 165—166; ჩვენი თემის თვალსაზრისით საინტერესოა შვიდსტროფიანი შაირი — „ქება“, რომელსაც „ღვთაების გუჯარის“ ტექსტის 18-20 გვ. უჭირავს. ქება შეიცავს სულთან-ჰუსეინის გარეგნობისა და მორთულობის ისეთი დეტალების აღწერას, რასაც ზოგიერთი უცხოელი მოგზაურების შთაბეჭდილებანიც ადასტურებენ. მაგრამ სეფევიდი შაჰების მორთულობა ერთფეროვანი იყო ამ დინასტიის ყველა წარმომადგენლისათვის.
  7. იხ. Carlo Gemelli-Careri. Ciro del Mond, I—VI. Napoli. 1699—1700. კორონაციის აღწერა მოთავსებულია მეორე ტომის XI თავში. არსებობს ამ წიგნის ფრანგული თარგმანიც. იტალიური ტექსტის გვ. 113-ის წინ მოთავსებულია თვითონ სულთან-ჰუსეინის სურათი, იგივე, ფრ. ტექსტის 118 გვ. შემდეგ; გემელი-კარერის შესახებ ლიტერატურა იხ. ჩვენს წიგნში „რჩეული ნაწ.“, I, 502.
- აქ დაბეჭდილ სურათს ზემოთ აქვს წარწერა: „შაჰი ოსენი (ჰუსეინი). სპარსეთის მეფე“.

# კვირ-კვირი კვირი



შემთხვევა  
ისტორიული

## ყველაზე უფრო გავრცელებული გვარი

მთელ მსოფლიოში ყველაზე უფრო გავრცელებული ფარი წარმოსდგება სიტყვისაგან — „მედელი“. ამერიკისა, ინგლისისა და ავსტრალიაში ესაა სმითი; გერმანიასა და ავსტრიაში — შმიდტი; პოლონეთში — კოვალესკი; რუსეთსა და უკრაინაში — კუზნეცოვი, კოვალევი, კოვალენკო, კოვალი; საქართველოში — მედელი-შვილი და მედელიძე; სომხეთში — დარზინიანი და ა. შ.



## ყველაზე გრძელი ულვაშები

სტატისტიკოსებს ყველაფერი აღრიცხული აქვთ — ვინ არის ყველაზე მაღალი კაცი მსოფლიოში, ყველაზე მძიმე, ყველაზე ღონიერი და ა. შ. მათ ისიც გამოარკვევენ, რომ მსოფლიოში ყველაზე გრძელი ულვაშები აქვს ქ. ბოშების მცხოვრებს, ინდოელ მასალი დიშს. მისი ულვაშის სიგრძე 180 სანტიმეტრს აღწევს. მეზობლები მასზე თურმე ხუმრობენ, რომ მასალის ცოლი ქმრის ულვაშებს სარცხის თოკადაც იყენებო.



## ყველაზე ახალგაზრდა მთავარსარდალი

ყველაზე ახალგაზრდა მხედართმთავარი, რომელიც სათავეში ედგა არმიის ბრძოლის ველზე, იყო სამი თვის მერცხოვი მოფარდ III ბრახანტილი (ბერლია). მოფარდი სულ 90 დღისა იყო, როცა მამისაგან მემკვიდრეობით ტახტი მიიღო და, ამასთან, ბრახანტის არმიის მხედართმთავარიც გახდა. დაიწყო ომი. საპირო იყო მერცხოვს არმია ბრძოლაში გაეყვანა. და აი იგი ჩააწვიანეს ორ ხეხ შუა გაბმულ აკვანში, იქვე ახლოს გააფრთხილეს ბრძოლა მიმდინარეობდა. ამგვარად, მერცხოვი პირადად იყო ბრძოლის ველზე და იმ დღის მოპოვებული ფარჯანებაც მას მიაწერეს. მოფარდ III მთელი თავისი 48 წლიანი მეფობის განმავლობაში (1142-1190) „შაჰი სარდლის“ ხახელს ატარებდა, თუმცა შემონახულია ისეთი ცნობებიც, საიდანაც ვგებულობთ, რომ თანამედროვენი მას დაცინვით „აკვანს მერცხოვსაც“ უწოდებდნენ.




## გაუთვალისწინებელი საფრთხე

მიუნხენში ასეთი სასაცილო ამბავი მოხდა: ღამით ლანდფურშტრახსზე მრავალრიცხოვანმა გამგლელებმა უშრადლებს შიქციეს კაცს, რომელიც თავქულმოგლეჯილი გარბოდა. მის უკან გაფრთხილები ყეფა მოისმოდა, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ ძალი არსად ჩანდა. გამგლელებმა გაქცეული კაცი, ყოველ შემთხვევისათვის, დააკავეს და საპოლიციო უბანში მიიყვანეს. აღმოჩნდა, რომ ეს იყო ქურდი; ბინის გატევის შემდეგ მას წამოიღო ფული, ძვირფასი ნივთები და წამოიყვანა თუთიყუში. ტომარაში ჩასმულმა გაწვრთნილმა თუთიყუშმა ქუჩაში მოულოდნელად ძალივით დაიწყო ყეფა. ქურდმა იფიქრა, ნამდვილი ძალი მომდევსო, დაფრთხა, გაიქცა და გამგლელების დატევა გამოიწვია.

## შედეგის უარვალზე


იტალიელმა მხატვარმა ვანი ჯუფრემ, სოფელ ბუსანში სერიონობის დროს, უარადლება მიაქცია მის წინ მიხვეულ გლეხს. მხატვარი გაცუბული ღარჩა, როცა შეამჩნია, რომ გლეხის შარვლის უკანა მხარეს რაღაცა იყო დახატული. ჯუფრემ წინადადება მისცა გაქვლეს, შარვლები გაეცვალათ, რაზედაც გლეხი უყოყმანოდ დათანხმდა.

როცა მხატვარი სახლში დაბრუნდა, განცვიფრებულმა აღმოაჩინა, რომ ქსოვილი, რომლითაც შარვალი იყო შეკერილი, წარმოადგენდა XVII სუკუნის ცნობილი მხატვრის საღვატორ როზას ცნობილი სურათის ნაწილს. შემდეგში გლეხის ქოხში აღმოაჩინეს მთელი სურათი „მადონა ყრვით“, რომელიც მრავალი დღისა-ნების მიუხედავად, მაინც ისე იყო შენახული, რომ აღდგენა შეიძლებოდა.



## „ხელს ნუ ახლებთ, მიწაწმულია“

„ხელს ნუ ახლებთ, მოწამლულია“ — ასეთი წარწერა მქონდა აფრიკულ შუბს პარიზის საბუნებისმეტყველო მუზეუმში. მუზეუმის თანამშრომელმა ანდრე ნიკოლამ შემთხვევით ხელი წავსო შუბის წვერს და თითი გაიჭრა. სასწრაფო დახმარების მანქანამ ანდრე საავადმყოფოში წაიყვანა, ქრილითა სწრაფად და გაურთულებლად შეპირდა. ოთხი დღის შემდეგ ანდრე ნიკოლა მუზეუმში დაბრუნდა და აღიანხა, რომ შუბს გაკეთებული მქონდა ახალი ფირფიტა, რომელზეც იწერა: „ფრთხილად, შუბი მოწამლულია ძლიერი შხამით! ჩვენი ძვირფასი კოლეგა ანდრე ნიკოლა ამას წინათ უდროოდ დაიღუპა თავისი გაუფრთხილებლობის წყალობით“.



ისტორიის  
კურიოზები

ბერლინის არქივში წააწყდნენ საინტერესო დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს, თუ როგორ მწარედ დასცინებს ხოლმე ისტორია მათ, ვინც ანგარიშს არ უწევს მის მსგელობას. თურმე 1941 წლის შემოდგომის დასაწყისში ბერლინში მოიწყო აუქციონი, თუ რომელ კინოფირმას მიეცემოდა უფლება გადართო მიტლერის საწვითი შესვლა... კრემლში. კინოფირმების წარმომადგენლები ამ აუქციონზე სულ უმატებდნენ და უმატებდნენ თანხას, ბოლოს, ყველაზე მეტი გადაიხადა ერთმა დანიურ-გერმანულმა ფირმამ და ობერბატონი-ნიკოლა გომოვი მოსკოვში გასაგზავნად. ამას გარდა, ბერლინში, უნტერ დენლინდენზე განლაგებული სასტუმროების პატრონებმა დაიწყეს ოთახების ფანჯრების გაჭირვება 15 სექტემბრისათვის, როცა დანიური იყო „გამარჯვებული გერმანული ჯარების“ ბერლინში დაბრუნება.

რით დამთავრდა ყველაფერი ეს, მკითხველს კარგად მოეხსენება.

გარეკანის პირველ გვერდზე: პირველი მათის დღესასწაული თბილისში. ფოტო თარხან არჩვაძისა. მეოთხე გვერდზე: ვაკის საცურაო აუზი. ფოტო ოთარ თურქიასი.

რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია:

პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე.

ო. გივინიშვილი, ს. ლურმიშიძე, მ. სააკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საბ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექნოლოგი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის 9-54-88, პ/მგ. მდივნის—9-82-89, განყოფილებების—3-28-42, 9-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

შახნი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასახელებად 5/V-67 წ. გამომც. № 94, ქაღ. ზომა 70x108<sup>1</sup>/<sub>2</sub>, 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 35.700. შეჯ. № 1689, უფ 02042

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.





შლაზნის ბორანი.

ფოტო თარხან არჩვაძისა.

ИНДЕКС 76056

8 90/112

